# პიონერი

11

1930

სახელგამი



პიონერები ბანაობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზაფხულო მუშაობისათვის

ზაფხულის პერიოდი გარკვეულ ამოცანებს და მოთხოვნებს აყენებს სოფლად მიმავალი ახალგაზრდობის წინაშე. წრევანდელი ზაფხული არსებითად განსხვავდება წინა დროის ზაფხულებისაგან; თუ შარშან საქართველოში რამდენიმე კომუნა ან კოლექტივი არსებობდა, დღეს უკვე საკოლმეურნეო მოძრაობა ფართოდაა გაშლილი. კოლმეურნეობების წინსვლა-განვითარებასთან ერთად ამოძრავდენ სოფლის კულაკური, ბნელი ელემენტები, რომლებიც ცდილობენ ათასგვარი ხრიკითა და ჭორით კოლექტივების დაშლას; მაგ. კახეთის ოლქში, სოფელ ლაგოდეხში, კულაკებმა გაავრცელეს ხმა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უნდა კოლმეურნეთა ბავშების გაყიდვა გერმანიაში; სოფელ ატენში კულაკებმა ასტეხეს განგაში, თითქოს ამხ. სტალინი ამ ბოლო ხანებში კოლექტივების მოწყობის წინააღმდეგ წავიდა და საჭიროდ არ სთვლის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ერთ სოფელში კულაკები ყოფილ მოჯამაგირეებს არიგებენ, რომ მათ არავითარ შემთხვევაში ხელი არ ახლონ კულაკების მეურნეობას, თორემ დაბრუნებისას კულაკები „ტყავს გააძრობენ“ მათ და' სხვ. კულაკები აშკარა ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებიან. ვის არ ახსოვს სოფელ ფშავში აქტიური პარტიული კოლექტივისტის, ამხ. იოსებ კარატიელის, ვერაგული სიკვდილი, სენაკის მაზრაში კოლექტივის ხელმძღვანელ რ. ჩუხუაზე თავდასხმა, ან კიდევ სოფელ დიდ-ლილოში კომუნარების წლიური სარჩოს ცეცხლით განადგურება! ფაქტები მეტყველებს, რომ კულაკები ყოველგვარ საშუალებასა და ღონისძიებას მიმართავენ, აშკარა თუ ფარული ზომებით იბრძვიან კოლმეურნეობათა მშენებლობის წინააღმდეგ. კულაკმა ფრთები გაშალა და ჩვენს წინააღმდეგ გაძლიერებული შეტევით მოდიოდა. სწორედ ამ იერიშების მოგერიების მიზნით, ჩვენმა პარტიამ საჭიროდ სცნო კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, რაც უკვე პრაქტიკულად ხორციელდება.

ახალგაზრდობას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში დიდი როლის თამაში შეუძლია. წელს სოფლად მიმავალ კომკავშირული და პიონერული ახალგაზრდობის წინაშე სულ სხვაგვარი ამოცანებია წამოჭრილი.

უპირველეს ყოვლისა, სოფლად მიმავალი ახალგაზრდობა უნდა შეკავშირდეს ერთ მთლიან ძალად. რომ უფრო ნაყოფიერი იყოს კოლმეურნეობის ფრონტზე მუშაობის ჩატარება, ახალგაზრდობამ უნდა ჩაატაროს მოხსენებათა მთელი ციკლი კოლექტიური მეურნეობის მნიშვნელობის და სარგებლობის, შრომის ორგანიზაციის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა, საჭიროა პრაქტიკული, ცოცხალი მონაწილეობის მიღება კოლმეურნეობათა საქმეებში. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ თუ სოფლად მიმავალმა ახალგაზრდობამ გლეხობაში მუშაობა მარტო მოხსენება-საუბრებით ამოსწურა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება და არც დიდ ნაყოფს გამოიღებს. გლეხის ბუნება ისეთია, რომ ის უსათუოდ იტყვის: „ე, შვილოსან, გისწავლიათ ლაპარაკი და მოხსენებების გაკეთება, აბა მოდით, ჩვენთან იმუშავეთ და ვნახავთ, რაც ბიჭები ხართ!“ ახალგაზრდობამ უნდა გათოხნოს, ტრაქტორიც წაიყვანოს, მორწყვაც შესძლოს და საქონელიც მორეკოს — მხოლოდ მაშინ ექნება მის სიტყვებს რაიმე ღირებულება, და გლეხიც უსათუოდ დაიჯერებს. ჩამოსული ახალგაზრდობა უნდა დაეხმაროს კოლმეურნეობათა გამგეობასაც პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში, შრომის განაწილების სისტემის ზუსტად გატარებაში, კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ. გარდა ამისა, ის ყოველთვის ადგილობრივ ალმასკომთან და კომკავშირის ორგანიზაციასთან შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს, რომლებმაც გაცილებით უკეთ იციან ადგილობრივი პირობები.

ახალგაზრდობამ უნდა შეისწავლოს კულაკის ყოველგვარი ხერხი და ტაქტიკა, რომ ამით ავიცილოთ კოლექტივებში მათი შემოპარვა.

ზოგჯერ კულაკების „შემოთრევას კოლექტივებში“ ნაწილობრივ ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიც უწყობენ ხელს: „ეს კარგი კულაკია, მშრომელი კაცი, მას ისეთი გავლენა აქვს სოფელში, რომ თუ ის კოლექტივში არ შევიყვანეთ, სოფელი არაფერს დაგვიჯერებს“, ან „საბჭოთა ხელისუფლების მიზანია კულაკები აღზარდოს და ჩვენც პარტიის პოლიტიკის სწორედ გატარებისათვის კულაკები კოლექტივებში შევიყვანოთ“ და სხ. ამ „კეთილი“ სიტყვების იქით აშკარა ანტიკომუნისტური იდეოლოგია იმალება. არავითარი უკანდახევა! „არცერთი კულაკი კოლექტივებში“ — აი რა ლოზუნგის ქვეშ უნდა გაშალოს სოფლად მიმავალმა ახალგაზრდობამ მუშაობა.

გარდა ამისა, ახალგაზრდობამ უნდა გააჩაღოს დიდი კულტურული მუშაობა, მოაწყოს ხმამაღლა გაზეთის კითხვა, თუ არ არის მოაწყოს რადიო, დადგას სააგიტაციო ხასიათის პიესები, ჩაატაროს მოხსენებები ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ და დიდი აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატაროს კოლმეურნეობებში საბავშო ბაგის ამოსაყალიბებლად.

განსაკუთრებული დახმარება და ყურადღება უნდა მიექცეს ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ჩამოყალიბება — ამუშავებას.

პიონერი გოგი ლომიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი:


| | გვ. | | გვ. |
|---|---|---|---|
| 1. „ბრიტანეთის გვირგვინის მარგალიტი“-**შ. თ-ლის** | 1. | 7. ამინდი, — ლექსი — **კ. ბობოხიძის** . . . . . . . | 13. |
| 2. ვილიმ შიმშილი გამოაცხადა, — **უ. მდივნის** . . | 2. | 8. პატარა მებრძოლი, — **შ. ესებუასი** . . . . . . | 14. |
| 3. ფურცლები დღიურიდან . . . . . . . . . | 4. | 9. საზაფხულო მუშაობისათვის, — პიონ. **გ. ლომიძის** გარეკანის მე-2 გვერდზე . . . . . . . . | |
| 4. სვანეთის გზა, — ლექსი — **გ. ხვიხტანის** . . . . | 5. | 10. პიონერთა ექსკურსია — გასეირნება ზაფხულში, — გარეკანის მე- გვერდზე | |
| 5. აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, . . . . . . . . | 7. | | |
| 6. ოთარი (დასასრული), — **ჰ. ხამხონიძის** . . . . | 10. | | |

329.153(05)
3-47

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

15 ივნისი
№ 11
წელიწადი მეხუთე
1930

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

## ბრიტანეთის გვირგვინის მარგალიტი

დიდია და მდიდარი ინდოეთი, სადაც 300 მილიონზე მეტია მოსახლეობა. ინდოეთში არის ბამბის, ჩაის, ყავის, შაქრის ლერწმის და კაუჩუკის მეტის-მეტად მდიდარი პლანტაციები; აქ არის აგრეთვე ნავთი და ათასი სხვა სიმდიდრე, და ყველაფერი ეს ერთი მუჭა ხალხის ხელშია, მოსახლეობის 99% კი მშიერ-მწყურვალია.

ინდოეთი ინგლისის უზარმაზარი კოლონიაა. მას „ბრიტანეთის გვირგვინის მარგალიტს“ ეძახიან და ეს მართალიც არის. ინგლისელები მშვენივრად იყენებენ ინდოეთის სიმდიდრეს, სულ იაფად გამოაქვთ იქიდან ათასგვარი ნედლი მასალა და შემდეგ მიაქვთ ინდოეთში თავისი ფაბრიკა-ქარხნების სხვადასხვა ნაწარმოები და დიდძალ ფულს იგებენ.

ყოველწლიურად ინდოეთში ჰყიდის ინგლისი დაახლოვებით 50 მილიონი ფუნტი სტერლინგის (500 მილიონი მანეთი) საქონელს. ამრიგად, იქაურ გლეხს ორმაგად ჰყვლეფენ: იაფად ამუშავებენ, ნედლ მასალას მუქთად იგდებენ ხელში და ძვირად კი მიჰყიდიან უკვე გამზადებულ საქონელს.

მიწის საკითხიც საშინელ დღეში აგდებს ინდოეთის გლეხს: მთელი მიწების 50% ფეოდალურ მიწისპატრონთა და თავადების ხელშია, 30% კი ინგლისის იმპერიალიზმს ეკუთვნის, სამასმილიონიანი მოსახლეობის 292 მილიონი სული კი მიწების 20%-ს ჰფლობს. ამ მდგომარეობის გამო ინდოეთის მშრომელი მოსახლეობა გაძვალტყავებულია: იქ თითო მშრომელის წლიური შემოსავალი მხოლოდ 20 მანეთს უდრის, მაშინ, როდესაც იაპონიაში სულზე 60-70 მანეთი მოდის.

გარდა იმისა, რომ ინდოეთი აძლევს ინგლისს ბევრ ძვირფას ნედლეულს და შესანიშნავ ბაზარს წარმოადგენს ინგლისის საქონლისთვის, მას განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ის არის ინგლისის იმპერიალიზმის ბაზა აღმოსავლეთში.

ინდოეთის სახელმწიფო ხარჯების 50% სამხედრო მიზნებს ხმარდება. სამხედრო პირები იქ ძალიან დიდ ჯამაგირს იღებენ, და ფუფუნებით ცხოვრობს აგრეთვე ამ კოლონიის ბიუროკრატიაც. ისინი ყოველწლიურად 200 მილიონ მანეთს გზავნიან ინგლისში — ეს ის თანხაა, რაც ყოველწლიურად „გადარჩება“ ხოლმე მათ სხვადასხვაგვარ ხარჯს. სწორედ ამიტომ ინგლისი ყოველგვარად ებღაუჭება ინდოეთს და არ სურს გაუშვას ხელი ამ „მსუქან ლუკმას“.

შეინძრა გოლიათი — ინდოეთი, მან მეტად მწვავედ იგრძნო ინგლისელი ობობას მიერ სისხლის გართმევის „სიამოვნება“ და სურს მოიპოვოს ადამიანური უფლებები, აღარ სურს იყოს სხვისი მონა-მორჩილი, გაყვლეფილი, ჩაწიხლული და დაბეჩავებული. რევოლუციის გრიგალმა დაქროლა ინდოეთშიც, და შეინძრენ იქაური მუშები და გლეხები. დღითი-დღე იზრდება იქ მუშათა მოძრაობა, დღითი-დღე ემატებათ დაჩაგრულებს მონობის ბორკილების გაწყვეტის სურვილი. ღელავს გლეხობაც, საცოდავი გლეხობა, მშიერ-მწყურვალი და უუფლებო. მაგრამ არ სძინავს არც ინგლისის „მუშათა მთავრობას“, მას ხელიდან გასაშვებად არ ემეტება ეს „საწველი ფური“, და მაკდონალდი ყოველდღე აგზავნის ჯარს ინდოეთის „დასამშვიდებლად“, მეორე ინტერნაციონალი კი ურჩევს ინდოეთის მუშებსა და გლეხებს დაჰყარონ იარაღი და თავის კაპიტალისტებსა და მემამულეებთან ერთად შეუთანხმდენ „მუშათა მთავრობას“.

მაგრამ ინდოეთი არ წყნარდება. იქ განდიმ დაიწყო „მოთმენისა და პასიური წინააღმდეგობის“ ქადაგება, რაც მშრომელების ღალატს უდრის, მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს, და „განდიზმი“ ველარ აკმაყოფილებს ინდოეთის მშრომელებს, რომლებიც პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკას თანდათან ჰგმობენ და სასტიკ ბრძოლას აჩაღებენ დამმონავებული ყაჩაღების წინააღმდეგ. ჟურნალ-გაზეთებში ყოველდღე ვხვდებით ცნობებს ამ ბრძოლის შესახებ. „კულტურული“ ინგლისი თავს არ იზოგავს, და მისი აეროპლანებიდან ჩამოყრილი ყუმბარები ჟლეტს ხალხს, სწვავს სოფლებს, ანადგურებს მშრომელების ნაშრომს.

ინდოეთმა ბოიკოტი გამოუცხადა ინგლისის საქონელს, და 1929/30 წელს 7500000 ფუნტი სტერლინგით შემცირდა ინგლისის იმპორტი ინდოეთში. რაც უფრო ნაკლებ გადის ინდოეთში ინგლისის საქონელი, მით უფრო მეტი ნაწარმოები შეაქვს ინდოეთში იაპონიას, რომელსაც თავისი საფეიქრო ნაწარმოებები ბლომად შეაქვს იქ (1929/30 წელს 4000000 ფუნტი სტერლინგით მეტი აილო ქსოვილებში, ვიდრე წინა წელს).

საშინლად უსწორდება ინგლისი აჯანყებულ მშრომელებს. აი, მოვუსმინოთ გაზეთებსაც:

„14 ივნისი. სროლის დროს, როდესაც პოლიცია ესროდა გაფიცულ მტვირთავებს რანგუნში (ინდოეთი), მოკლულია 170 და დაჭრილია 788 კაცზე მეტი“.

„14 ივნისი. ინგლისის აეროპლანებმა კვლავ ჩამოჰყარეს ყუმბარები აჯანყებული ტომის ტურანგზაის პოზიციებზე“.

„14 ივნისი. ინდოეთში ინგლისის საქონლის ბოიკოტის გამო საფეიქრო ქარხნები ლანკაშირის ყველა ნაწილში იხურება. უმუშევრობა სწრაფად იზრდება. ბლენბერნში 92 ფაბრიკა დგას“.

განდი და ბევრი მისი მომხრე დღეს ისვენებს საპყრობილეებში, სადაც ძალიან კარგად გრძნობენ თავს, ვინაიდან ბურჟუაზიამ იცის მშრომელების მოღალატეების პატივისცემა, მასა კი თავისი გზით მიდის, და როგორც შეგუბებულ მდინარეს, რომელმაც გადმოხეთქა და დაექანა თავქვე, ვერ შეაჩერებს ხელის შეშვერა, ასევე ძნელია აღშფოთებული მასების კალაპოტში ჩაყენება.

ინდოეთი ღელავს, ინდოეთმა შეიგნო, რომ დროა მოიშოროს სამარცხვინო ბორკილი.

„ბრიტანეთის მარგალიტს“ აღარ სურს სხვის „მარგალიტად“ ყოფნა, მის მიწაწყალზე უკვე ჰქრის რევოლუციის ქარი, რომელიც გრიგლად გადაიქცევა, რომ წალეკოს ყოველგვარი ჭუჭყი და ნაგავი...

შ. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვილიმ შიმშილი გამოაცხადა

ქალაქ განჯაში საავტომობილო პუნქტზე დგას ავტობუსი წარწერით: „განჯა-ელენდორფი“. პირველად ჩასულ ადამიანს აკვირვებს ავტობუსში მჯდომი მგზავრების ეროვნების სხვადასხვაობა. ერთსა და იმავე ავტობუსში ხედავთ ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილ ტიპურ გერმანელს, ფაფახიან შავგვრემან თათარს, სომეხს, რუსს, ქართველს და სხვას. განჯიდან ავტობუსი ელენდორფისაკენ მიქრის.

ელენდორფი გერმანელების კოლონიაა, განჯიდან 10 კილომეტრის მანძილზე.

განჯა თათრულად ნიშნავს უდაბნოს, და მართლაც, როგორც კი გაცილდებით ქალაქის ვიწრო ქუჩებს, თვალწინ იშლება უდაბნოს მაგვარი ველი, წითელ-ყვითელი და რუხი მწირი მიწა.

ფართე გზატკეცილზე მიქრის ავტობუსი.

პირველად ჩასული მგზავრი უნებლიედ დაფიქრდება და ეკითხება თავის თავს: „ნუთუ ასეთი მიწა მოსავალს იძლევა?“ ნუთუ ეს ევროპულად გამოწყობილი გერმანელები, ფაფახიანი შავგვრემანი თათრები, სომხები, რუსები, ქართველები და სხვანი ცხოვრობენ ამ ველის რომელიმე კუნჭულში?

ავტობუსი მიქრის ფართე გზატკეცილზე.

მარჯვნივ თუ მარცხნივ უდაბნოა, აქა-ის მოჩანს ადგილობრივი თათრებისა და სომხების მიწური სახლები.

განჯიდან ორიოდე კილომეტრს რომ გაივლით, ფართე გზატკეცილს მარცხენა მხარეზე აედევნება ჩამწკრივებული ასწლოვანი მუხის ხეები.

გზატკეცილის მარჯვენა მხარეზე იშლება ზღვასავით ფართო და თვალუწვდენელი ვენახები.

მიქრის ავტობუსი, ვენახებს არ უჩანს დასასრული.

ვენახში აქა-იქ მოჩანს პატარა სადარაჯო შენობები. ეს ვენახები ეკუთვნის კოლონია „ელენდორფში“ მცხოვრებ გერმანელებს.

ვის არ უგემნია განჯის მსხვილმარცვალა ყურძენი. ეს ყურძენი ამ ვენახებიდან მოდის.

ავტობუსი უახლოვდება ელენდორფს. ფართე გზატკეცილზე მიქრის. წინ ავტობუსს შეეფეთებიან დიდი „ფურგუნებით“, ჩასუქებული, ჯიშიანი ცხენებით, მშრომელი გერმანელები.

გამოჩნდა კოლონია ელენდორფი. ბრტყელი სამკუთხედი, კონუსისებური საზვინავები ერთიმეორეზე მიკრული ერთ და ორსართულიანი სახლებით, ვიწრო კიბეებით და პატარ-პატარა აივნებით.

ელენდორფი ამიერკავკასიაში გერმანელების ერთ-ერთი მდიდარი კოლონიაა.

ადგილობრივ მცხოვრები გერმანელები ეწევიან მიწის მუშაობას, მჭედლობას, ფურგუნების კეთებას და სხვა. აქვსთ გერმანული 7-წლედი და 9-წლედი.

მოთხრობა „ვილიმ შიმშილი გამოაცხადა“ გერმანელების დღევანდელ კოლონიაში მომხდარი ნამდვილი ამბავია.

*
* *

უკვე დღის პირველი საათია. სკოლაში უკანასკნელი გაკვეთილი გამოვიდა.

— ბავშებო, ხვალ კვირაა და დილის სრულ 9 საათზე პიონერები უნდა შეგროვდეთ სკოლის ეზოში, კოლონიის გარეთ გასეირნებას ვაწყობთ,—გამოაცხადა ხელმძღვანელმა ჰენრიხმა.

ვილი 12 წლის გერმანელი ბიჭია. ჰერნიხის სიტყვების გაგონებაზე წიგნება ნერვიულად შეაგროვა და თვალები ცრემლებით დაებერა. ჰენრიხმა ვილის თვალი მოჰკრა და ყურადღება მიაქცია.

ვილი კარისაკენ წავიდა.

ჰენრიხი მას გამოუდგა, დაეწია, ბეჭზე ხელი დაჰკრა, შემოაბრუნა, შეეკითხა:

— რაო, ვილი, რათ არ ეწერები კოლექტივში?

ვილიმ ჰენრიხს ზევით ახედა... თვალები ცრემლებით უფრო მეტად დაებერა, ჰენრიხს რაღაც უნდა უპასუხოს, მაგრამ... ფართე წითელ ლოყებზე ცრემლები დაგორდა.

ვილიმ თავი ჩაღუნა და გზას გაუდგა. ჩაფიქრებული ჰენრიხი მიმავალ ვილის მისჩერებია და იქვე მდგომ პიონერს ეკითხება:

— რა მოუვიდა ვილის? ჩვენი კოლექტივის წევრებს ხომ არ უწყენინებიათ?

—ვილის კოლექტივში ჩაწერა უნდა და დედ-მამა ნებას არ აძლევს, ყოველ კვირაობით ეკლესიაში დაყავსთ და პასტორს უთქვამს, კოლექტივი ბავშებს რყვნისო,— მიუგო ჰენრიხს პიონერმა.

ჰენრიხი დაფიქრდა.

ვილის მამა რობერტი შუახნის კაცია, ფურგონის განთქმული ხელოსანი კოლონიაში.

ვილის დედა ელფრიდა ღვთისმორწმუნე ქალია, ის სულ ცდილობს თავისი ერთადერთი შვილი მუდამ თავის თავთან იყოლიოს და ღვთისმორწმუნეობა ჩააგონოს.

ოთახებში ჩამოკიდებულია ხატები, ქაღალდის მოოქროვილი ჯვრები, სახარებიდან ამოღებული ციტატები და სხვა.

მთელი ოჯახი კვირაობით დადის კირკაში (ეკლესია) და უსმენს გამოყეყეჩებულ მოხუც პასტორს, ისმენს სახარებიდან დაზეპირებულ ლოცვებს.

დაჯავრიანებული ვილი სასწავლებლიდან შინ დაბრუნდა. მამა, რომელიც ახლადგაჭედილ ფურგონს ბორბლებს ადგამდა, მოსულ ვილის გახარებული ეძახის:

— ვილი, მოდი, მამიკო, ხედავ, როგორი კარგი ფურგონი გავჭედე!

ვილი თავჩაღუნული შეჩერდა, დაღვრემილია, მამისაკენ არ წავიდა.

რობერტმა შვილს შეხედა, სახე შეეცვალა, მუშაობას თავი დაანება, მიუახლოვდა.

— რა მოგივიდა, შვილო, ხომ არავის გაულახავხარ?

ვილი მამას ხმას არ სცემს, თავჩაღუნული დგას და ცრემლებს იკავებს.

რობერტმა შვილს თავზე ხელი გადაუსვა და სახლში შეიყვანა. დედა ქმარსა და შვილს მივარდა, მანაც დაუწყო შვილს გამოკითხვა.

ვილი არ პასუხობს, თითქოს ლაპარაკი დაავიწყდა, თითქოს დღეს ის დედ-მამასთან უცხოა.

დალამებამდე ვილი სრულიად უხასიათოდ იყო, და დაფიქრებული ცოლქმარი ჩუმად საუბრობდა და ერთიმეორეს ეკითხებოდენ, თუ ბავშს რა დაემართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ვილიმ დედასა და მამას ჩვეულებრივად გაზეთი აღარ წაუკითხა და უვახშმოდ დაწვა დასაძინებლად.

— თუ ბავში ხვალაც ასე იქნა, ან ექიმსა და ან პასტორს უნდა ვუჩვენოთ,—უთხრა ელფრიდამ ქმარს.

რობერტი დათანხმდა.

გათენდა მზიანი დღე.

დილიდანვე დაიწყო კირკის ზარების რეკა. კოლონიის ფართე ქუჩებზე იქა-აქ გამოჩნდენ კირკისაკენ მიმავალი მლოცველები ხელში ლოცვანებით.

ელფრიდამ შინ საუზმე მოამზადა და ჩვეულებრივად ქმარშვილთან ერთად ეკლესიაში გასამგზავრებლად ემზადება.

რობერტი საუზმის მაგიდას მიუჯდა და ცოლს უთხრა:

— დასვი ბავში და აჭამე, წუხელი უვახშმოდ დაწვა.

დედამ ვილის უთხრა— მაგიდასთან დაჯექიო.

— შიმშილს ვაცხადებ, არ მოვდივარ ეკლესიაში ბებერი პასტორის ზღაპრების მოსასმენად,—წამოიძახა პატარა ვილიმ.

— შეიშალე, თუ რა მოგივიდა?— მიაყვირა შეშფოთებულმა დედამ.

— დედიკო, მე კი არ შევშლილვარ, თქვენ გშლისთ პასტორი, რომელიც ყველას ატყუებს და ხალხს ყვლეფს, კულაკებს კი მფარველობს.

— მიშველეთ, გადამრევია ბავში, ეშმაკის სული ჩაუჯდა! არიქა, კაცო, პასტორი მოვიყვანოთ,—ატირდა ელფრიდა.

რობერტი კი თავჩაღუნული ზის, თითქოს ვილის სიტყვებს ამართლებდეს; შემდეგ ცოლს შემოუტრიალდა და ელაპარაკება:

— ნუ ქაქანობ, დედაკაცო, ბავში მართალია, თუ უნდა, ნუ წამოვა ეკლესიაში.

ვილი გამოცოცხლდა, ის დღეს პირველად ხედავს მამას ასეთს.

— მამა, შენც ხომ მუშა ხარ, შენც ხომ დარწმუნებული ხარ, რომ ღმერთი არ არის, რათ დადიხარ ეკლესიაში, მაგით ხომ ცრუ პასტორს წელს უმაგრებ, ეხმარები.

რობერტი დაფიქრდა, შვილს თავზე ხელი გადაუსვა.

დედა გამოურკვეველ მდგომარეობაში დგას.

ფანჯრებთან ჩაიარა ბუკითა და ნაღარით პიონერების კოლექტივმა.

— ხედავ, მამა, ისინი ჩემი ამხანაგები, პიონერები არიან, დღეს კოლონიის გარეთ სასეირნოდ მიდიან წმინდა ჰაერზე, მე კი შენთან და დედასთან ერთად ეკლესიაში უნდა ვიარო, ვუსმინო პასტორის ლუღლუღსა და ვყლაპო საცეცხლურებით გაკვამლული ჰაერი.

რობერტმა ცოლს შეხედა, ჯიბიდან ლოცვანი ამოიღო, მაგიდაზე გადაისროლა და უთხრა:

— დედაკაცო, ბავში მართალია. მე ეკლესიაში დღეიდან აღარ დავდივარ.

— ვაშა, მამა!—მიაკივლა გახარებულმა ვილიმ და მამას კისერზე შემოეხვია.



პიონერი აკეთებს შოშიას ბუდეს

რეკავენ სამრეკლოს ზარები.

შეწუხებულმა ელფრიდამ ხელში ლოცვანი აიღო და კარისაკენ წავიდა.

— შემდეგი კვირისათვის მეც გამოვაცხადებ შიმშილს, რომ შენც აღარ წახვიდე ეკლესიაში,—ღიმილით მიაძახა ცოლს რობერტმა.

ელფრიდა შემოტრიალდა და რობერტს მიმართა:

— კი, მაგრამ მე ვიღასთვის ვილოცო?!

— რომის პაპისთვის, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოაწყოს ჯვაროსნული ლაშქრობა. ხომ გახსოვს, გაზეთებში რომ გვიკითხავდა ვილი,—მიუგო სიცილით ქმარმა.

ელფრიდას თითქოს შერცხვა, ლოცვანს ხელი მოუჭირა და შვილს შუბლზე აკოცა.

— ჭკვიანი ბიჭი მყავს!—წამოიძახა რობერტმა.

— თუ მე ფურგონის ხელოსანი ვარ, ალბათ ეს ტრაქტორისტი იქნება.

მეორე კვირაც მალე მოვიდა.

პიონერების კოლექტივი ისევ სასეირნოდ მიდის კოლონიის გარეთ.

სხვა პიონერებთან ერთად რიგში ვხედავთ პიონერ ვილის, რომელიც ფანჯარასთან გადმომდგარ მხიარულ დედას და მამას ხელს უქნევს.

კირკაში კი პასტორი ისევ იქნევს კვამლიან საცეცხლურს და ხუთი მლოცველის სახე გამოყეყეჩებული დგას.

დაჯავრიანებული პასტორი ლუღლუღებს, მისჩერებია ცალიერ პარტებს და ფიქრობს:

— აღსასრული დგება, მალე ალბათ კირკაც დაიხურება: აღარავინ დადის.

**გ. მდივანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფურცლები დღიურიდან

რედაქციამ შესძლო ეშოვნა ჰამბურგელი თორმეტი წლის პიონერის, ლესინგის სახელობის სკოლის მოსწავლის, გეორგ ბრენერის დღიური. დღიური ნათლად ხატავს გერმანელი მუშებისა და მათი ბავშების ყოფა-ცხოვრებასა და ბრძოლას. ვბეჭდავთ გეორგის დღიურიდან 1930 წლის თებერვლის ფურცლებს.

გუშინ ვიყავი პაულ მიულერთან. ის არ ივლის სკოლაში ორი კვირა. მეაზეჯე მუშების დემონსტრაციაზე დასჭრეს მისი დედა. ის მთელი დღეები დედასთან უნდა იყოს. დემონსტრაციის დროს დედამისი იყო იმ ჯგუფში, რომელიც ცდილობდა სოციალ-დემოკრატების კრებაზე შეჭრას. მაგრამ იქ უშვებდენ მხოლოდ იმათ, ვისაც სოც-დემოკრატიული პარტიული ბილეთი ჰქონდა. პარტიულ საბუთებს სინჯავდენ სოციალ-დემოკრატების ღირსეული თანაშემწეები—პოლიციელები.

როდესაც დემონსტრანტები მიუახლოვდენ მთავარ შესავალს, პაულის დედამ დაიძახა:

— ზიზღი სოციალ-ფაშისტებს!

ცდილობდენ დემონსტრანტები დაეშალათ. მათ ლახავდენ ჯოხებით და რკინის გზის ლიანდაგამდე მისდიეს. აქ პაულის დედა დაეცა: მას ძლიერ მაგრად დაარტყეს თავში, და გრძნობა დაჰკარგა.

ყველაფერი ეს გუშინ მიამბო პაულმა.

კომუნისტურ გაზეთში ვკითხულობთ დღეს მის ჩვენებებს საპოლიციო სამართველოში.

—მე არადროს არ მჭერია ხელში თოფი,—უთხრა მან ობერპოლიციელს,—მაგრამ მაშინ რომ ხელთ მქონოდა, მე გიჩვენებდით, თუ როგორ უნდა სწორი სროლა.

ჩვენ წავიკითხეთ ეს შენიშვნა სკოლაში. ბავშებმა გამგზავნეს, რომ გადამეცა სალამი ჩვენი ამხანაგის დედისთვის. მე ვთხოვე მიულერს დასწრებოდა ჩვენი სკოლის საერთო კრებას. კრებაზე საინტერესო საკითხი დგას, და პაულიც ძალზე დაგვეხმარება.

ღია დისპუტი თემაზე „ვინ უკეთესია: შავ-წითელ ოქროსფერები (ფაშისტები) თუ წითლები“ ბევრ ბალღს მოიზიდავს.

— უსათუოდ ვიქნები,—სთქვა პაულმა.

გამომშვიდობებისას მან მითხრა:

— ბევრი ახალი ამბავი ვიცი.

*
* *

დღეს ისტორიის გაკეთილი გვქონდა. ჩვენმა ისტორიკოსმა ახალი წიგნი მოგვიტანა. წინასიტყვაობაში, რომელიც თვითონვე წაგვიკითხა, იყო ასეთი შესიტყვება: „სახელმწიფოს სურს, რომ თქვენ გქონებოდათ არა წვრილი ხელი, არამედ ათასი ღონიერი ხელი, იარაღის ხმარების მცოდნე“. ჩვენმა მოწაფე პრეტერმა, რომელიც იშვიათად იძლევა შეკითხვებს, ჰკითხა მასწავლებელს:

— რა საჭიროა ამდენი ხელი და სად უნდა წავიღოთ?

მასწავლებელმა უპასუხა, რომ გერმანიას ჩქარა დასჭირდება ახალშენები და ზედმეტი ხელი ყოველთვის გამოგვადგება.

მერე მან წაგვიკითხა საერთაშორისო მიმოხილვა. როცა ის მივიდა საბჭოთა კავშირამდე, ყველანი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდენ.

— იქ შიმშილია,—სთქვა ისტორიკოსმა კლაინსმა,—იქ იჩაგრებიან, იქ თავისუფლებანას თამაშია.

მაშინ წამოდგა პირველ მერხზე მჯდომი ნემანი და შეკითხვის ნებართვა ითხოვა. ნემანის მამა სოციალ-დემოკრატია. როდესაც მასწავლებელმა ნება დართო, მან ასე დ იწყო:

— მე სოციალ-დემოკრატის შვილი ვარ. არადროს არ გამიგონია მაგგვარი რამ.

ნემანი ჩინებულად ლაპარაკობდა. მან გვიამბო კუკსგაფენისკენ მიმავალი დიდი შარაგზის შესახებ. იქ მამამისი სარემონტო მუშაა. ხუთი კვირაა, რაც იქ მუშაობს. ერთხელ ჯგუფმა, სადაც ნემანის მამა მუშაობდა, მიიღო მეტად ძნელი შეკვეთა. მათ დამხმარედ მისცეს სისხლის სამართლის 25 პატიმარი. მათ ჯარისკაცები დარაჯობდენ მუშაობის დროს. პირველად ზედამხედველმა გადაწყვიტა გამოეგზავნა 50 კატორღელი, შემდეგ კი ეს რიცხვი შეამცირა. სადილად კატორღელებს დამარილებული ქონი და წვენი მიუტანეს. ამ საჭმელს ანაწილებდა ციხის მზარეული ქალი. კატორღელები იმას დას უწოდებდენ. ციხის უფროსებს გათვალისწინებული ჰქონდათ 50 სადილი, მაგრამ მხოლოდ 25 კაცი მუშაობდა, ასე რომ ნახევარი სანოვაგე შეუჭმელი დარჩა. ჯგუფში, სადაც ნემანის მამა მუშაობდა, 23 კაცი იყო. რადგანაც არცერთს ნება არ ჰქონდა წუთით მიეტოვებია სამუშაო, ამიტომ რემონტის მუშებმა სთხოვეს ციხის დას კატორღელების დარჩენილი სადილი.

— კარგი,—უპასუხა მათ დამ,—მე ამას სიამოვნებით შევასრულებ. მხოლოდ აუცილებელია მეთვალყურის ნებართვა.

ნემანის მამის ჯგუფმა მიმართა მეთვალყურეს.

— თქვენ ქონიანი წვენი მოინებეთ? არავითარი წვენი არ ვიცი, აქ მხოლოდ მუშაობაა.

— რა ვუყოთ წვენს, ბატონო ლეტკე?—შეეკითხა და.

— გადაღვარეთ,—უპასუხა მეთვალყურემ.

— მე ამას ვერ ვიზამ,—განაცხადა ციხის მზარეულმა ქალმა.—თუ ხელი დაგემორჩილებათ, თქვენ გადაღვარეთ.

მეთვალყურე მიუახლოვდა ქვაბს და გადაღვარა წვენი.

ნემანის მამის ზოგიერთი ამხანაგები მისცვივდენ და დაუწყეს აკრეფა მიწაზე დაყრილ კომბოსტოსა და ქონის ნაჭრებს. ისინი ხარბად სჭამდენ ტალახში დასვრილ ნარჩენებს.

ისტორიკოსი კლაინსი ერთხელაც არ შეცდილა ხელი შეეშალა ნემანისთვის. მაგრამ როდესაც ნემანმა დაამთავრა, მან ჰკითხა ბინის მისამართი და სთქვა:

— მე მივმართავ სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციას. იქ მოუწოდებენ წესრიგისკენ პარტიულებს, რომლებიც პოლიტიკით აბრუებენ თავის შვილებს.

გაკვეთილი დამთავრდა.

*
* *

გუშინწინ სამი კლასის კრება იყო. იყვნენ მასწავლებლები, კომკავშირის წარმომადგენლები, სოციალ-დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდები და ჰამბურგის კპ და სდ პარტკომიტეტების მუშაკები. კრება მოზარდი სპარტაკელების „სკოლის რგოლის“ ინიციატივით იყო მოწვეული. შენიშვნა ჩვენი კრების შესახებ, რომელიც მივეცით ჩვენს პარტიულ გაზეთს, სოციალ-დემოკრატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ გაზეთებშიც გადაბეჭდეს. თემა საინტერესო იყო არა მარტო ჩვენთვის, არამედ სოციალ-ფაშისტებისთვისაც: „ვინ უკეთესია: შავ-წითელ-ოქროსფერნი თუ წითლები?“

მოვიდა პაულ მიულერიც.

თავიდანვე შევთანხმდით ასე: რომ კრება არ გაგრძელებულიყო, ამიტომ უნდა ელაპარაკნათ მხოლოდ ჩვენს მოწაფეებს. უფროსები კი მოგვისმენდენ.

პაულ მიულერი როცა მოვიდა, პირველი ჩავწერეთ. ის ლაპარაკობდა ძალიან კარგად—ჩვენი საქებარი პაული!

— ბევრი ამხანაგი,—დაიწყო პაულმა,—იცნობს ჩემს უფროს ძმას. ის ოცი წლისაა. ორი წლის განმავლობაში უმუშევარია. ის ყოველდღე ყიდულობს გაზეთს და უკანასკნელ გვერდზე „მუშახელის მოთხოვნილების“ განყოფილებაში დაეძებს შესაფერ რამეს, მაგრამ ორი წლის განმავლობაში ვერაფერი იპოვა. იმან უკვე გაიარა უმუშევრობის სამივე სტადია: ღებულობდა დახმარებას „კრიზისის გამო“, „სიღარიბის გამო“ და აგრეთვე „შიმშილის გამოც“. მაგრამ ის უკანასკნელ პფენინგს ხარჯავდა გაზეთზე და მოთმინებით დაეძებდა. ის დაახლოვებით ოთხ წელიწადს მუშაობდა ავტოგენურ შედუღებაზე, უმუშევრობის დროს რამდენჯერმე ჰქონდა საშვალება გამხდარიყო შტრეიკბრერხერი, მაგრამ მიულერის ოჯახში გამცემნი არადროს არ ყოფილან.

ხუთი დღის წინად ჩემ ძმა ოტტოს „ბედმა გაუღიმა“. მან გვითხრა, რომ გაზეთის პირველ გვერდზე დიდებულ წინადადებას წააწყდა.

— ნაღდი 5000 მარკა იქნება,—სთქვა სახლიდან მიმავალმა ოტტომ.

საღამოს დაბრუნებულმა გვითხრა, რომ საქმე ვერ გაიჩარხა: უახლოესმა მეგობარმა შეუშალა ხელი.

ოტტომ დაწვრილებით გვიამბო საქმის ვითარება.

უკანასკნელ გვერდზე, როგორც ყოველთვის, მან ვერაფერი ვერ ნახა. მაშინ პირველ გვერდზე, შემთხვევების განყოფილებაში, ყურადღება მიაქცია ერთ შენიშვნას, სადაც ნათქვამი იყო, რომ ვიღაც სტუდენტს, მდიდარი ფაბრიკანტის შვილს, ბრალდება ქალის მოკვლა. ყველა საბუთი მისი საწინააღმდეგოა, მაგრამ ის უარყოფს დანაშაულს.

ოტტომ გაიგო იმ სტუდენტის მშობლების მისამართი. მან გადაწყვიტა მისულიყო იმ მდიდარ ხალხთან და ეთქვა, რომ მზად არის მივიდეს პოლიცპრეზიდიუმში და თავის თავზე აიღოს ქალის მკვლელობა. ის უამბობს პოლიციელებს, რომ მკვლელობა ჩაიდინა სტუდენტმა კი არა, არამედ მან, ოტტო მიულერმა, უმუშევარმა, რომელიც არაფერს არ ჰკარგავს.

დეე, მიუსაჯონ სამი, ხუთი, რვა წლით საპყრობილე. სამაგიეროდ დაკმაყოფილებული იქნება ყოველდღე პურით და წვენით. დეე, მდიდარმა ფაბრიკანტმა ამისთვის მისცეს 5000 მარკა: ამ ფულს ოტტო შეიტანს ბანკში და დაელოდება საპყრობილიდან განთავისუფლებას. მერე დანარჩენ წლებს კარგ სმა-ჭამაში გაატარებს.

ასე ფიქრობდა მკვლელის მშობლებთან მიმავალი ოტტო მიულერი.

ისინი მეორე სართულზე ცხოვრობდენ. ოტტო სასწრაფოდ ავიდა კიბეზე და დაეწია მძიმედ მიმავალ კაცს.

## სვანეთის გზა *)

ბორგავს ენგური თვალდაგეშილი
და მიაგორებს ტყვიისფერ ტალღებს,
ირგვლივ—გორები ტანდაჩეხილი
და ისევ მთები, აწვდილნი ცამდე;
დღემდე ამ ადგილს მთებს ეცვათ ბინდი,
ცა დაჰყურებდა ღრუბლით გაკრული...
კლდოვან ხეობას ხრავს დინამიტი,
და მთელი ხევი სუნთქავს ლაღუმით...
დილას, როდესაც მაღალ მწვერვალებს
მზე დაუგზავნის სხივების აყრას,
იწყება შრომა დაღამებამდე,
გაჰყურებ გამსკდარ მორების განგაშს.
გადაიხდება ღამის ფარდა და
დღის მხურვალებას მოაქვს ალლუმი,
ხეობას შრომის ჰიმნი ჰფარავს და
ისევ გუგუნებს ცეცხლი ლაღუმის...
იწყება მთიან ფერდობთან შებმა
კეტით, წერაქვით და მანქანებით;
გადმოკიდული სალი კლდე სკდება,
და ხევს ზოდების ფარავს ზვავები.
მაღალო მთებო, თქვენთან მოვდივართ,
მოგვაქვს ალლუმი და მანქანები,
დამარხულ ფესვებს ძირშივ მოვთხრით და
მადნების მარაგს დავეწაფებით...
სუნთქავს ლაღუმით კლდე გადმოხრილი,
დაბლა ეშვება ხევში ხრიალით,
და რჩება გზები გადატორილი,
დინამიტებით გადანათხარი...

სვანი მოსწავლე **გრიგოლ ხვისტანი.**

*) ამჟამად სვანეთში კეთდება გზა, რომელიც დამთავრდება მომავალ წელს.

ერთი ნაბიჯით ხუთი საფეხური! ის გასცდა მეორე სართულის კარს, ის უკვე მესამეზეა. უნდა დაეშვას დაბლა. იმ ოთახთან, სადაც საქმე ჰქონდა, იდგა კაცი, რომელსაც ის დაეწია.

— ბლენკლე!—უყვირის ოტტო კაცს.—შენ აქ რას აკეთებ?

მიულერის საუკეთესო ამხანაგი, ავგუსტ ბლენკლე, დაიბნა.

— მე,—იღებს გაზეთს ჯიბიდან და ამბობს:—მინდა გავყიდო ჩემი თავისუფლება: მინდა მკვლელი გავხდე.

პაულ მიულერს ხელში ბრწყინვალე რაღაც უჭირავს. ის მიდის ჰამბურგის კომკავშირის მდივანთან და აწვდის მედალს.

— ეს ვერცხლისაა,—ამბობს პაული.—მედალი მამაჩემისაა. ეს 1915 წელს მიიღო მან. დედა დღევანდლამდე ამას ინახავდა, როგორც მამის სახსოვარს. დღეს კი მთხოვა გადმოგცეთ ეს ვერცხლის ნაჭერი საბჭოთა კავშირში გასაგზავნი ტრაქტორის „ჰამბურგის მუშა“-ს ფონდის გასაძლიერებლად.

ალექსანდრე რენ, 10 წლის, ჩვენი სკოლის მოწაფე მიდის პაულთან. ჩვენ რენს ბოიკოტი გამოვუცხადეთ უკვე 10 დღეა. მამამისი შტრეიკბრეხერია. ყველა პროლეტა-



ლენრაიონი. პიონერები ქვაბს სჭედავენ

რულმა ყმაწვილმა უარი ვთქვით მის გვერდით ჯდომაზე.

— ყმაწვილებო,—ამბობს რენ,—მე ახლა ისევ შემიძლია თქვენს გვერდით ჯდომა: მამაჩემმა თავი მიანება შტრეიკბრეხერობას.

— ჩვენ ვყიდულობთ მარკებს, რომლებზეც ტრაქტორია გამოხატული. მარკებს ჰყიდის ჰამბურგის კომკავშირის მდივანი.

„ამნაირი იქნება ტრაქტორი, რომელსაც საბჭოთა კავშირში გავგზავნით“—ასე აწერია მარკებს.

ყველა ჩვენგანი პროლეტარული სოლიდარობის სიმბოლოს იმაგრებს ტანსაცმელზე.

კრება დამთავრდა. ჩვენ ვმღერით.

ჰინდენბურგს—მარყუჟი,
ტელმანი—საჭესთან!
შევქმნით საბჭოთა გერმანიას!

სკოლიდან შინ მიმავლები ვუსმენთ პაულს.

— აი, ყმაწვილებო, შეიძლება დადგეს ისეთი დღე, როგორიც საბჭოთა კავშირში ოქტომბრის დღეები იყო; გამოვალთ ყველანი ქუჩაში, და გაიქცევიან ჩვენგან პოლიციელები, ბანკირები, სოციალ-ფაშისტები.

ჰინდენბურგს —მარყუჟი!

მორისმის სკოლის მხრიდან.

* *

გუშინ „ბლომ უნდ ფოს“-ის დოკებზე 1923 წლის ჰამბურგის აჯანყების შემდეგ პირველად აფრიალდა წითელი დროშა.

ჩვენ ვმონაწილეობდით 6 მარტის საერთაშორისო უმუშევართა დღის დემონსტრაციაში. ყმაწვილების დიდი ჯგუფი, დაახლოებით 50 კაცი, მათ რიცხვში მეც, შეგვრეკეს ქვიტკირის დიდ შენობაში. აქამდე ზოგს ჩვენგანს მაგრად სცემეს დემონსტრაციაზე, ახლა კი პოლიციელები ცდილობდენ „ლმობიერებას“. ისინი უკვე აღარ ამოქმედებდენ რეზინის ჯოხებს, მხოლოდ მუშტებს გვთავაზობდენ. დიდი ქვის სახლი—ის არის ეგრეთწოდებული „ბავშებისადმი მკაცრად მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტი“.

აქ ვიყავით მთელი დღე და გამოგვიშვეს მხოლოდ საღამოზე. „ინსტიტუტის“ დირექტორმა წაგვიკითხა გამოსათხოვარი ლექცია ათასნაირი დარიგებით და გამოგვიშვა.

ბევრი ჩვენგანი პოლიციელთა კეტებით და მუშტებით დალურჯებული ბრუნდებოდა, მაგრამ ყველანი მხიარული ვიყავით.

— ეს კი ძალიან იყო!—სთქვა ერთმა—ჯერ მიგვბეჟეს და შემდეგ ბავშთა მფარველ ინსტიტუტში წაგვიყვანეს.

როდესაც გამოვედით, დემონსტრაცია კიდევ გრძელდებოდა. ჩვენ შევხვდით ომის ინვალიდების დიდ ჯგუფს.

ერთი უფეხო ინვალიდის გვერდით იჯდა 6 წლის ბიჭი. იმან გაშალა წითელი ნაჭერი, სადაც ეწერა:

**„ჩვენ გვიყვარს ლენინი, იმიტომ რომ ის ეჯავრებათ კაპიტალისტებს“.**

* *

დღეს 6 მარტის დემონსტრაციის ზეგავლენით მოვაწყვეთ სკოლაში ბარიკადები. ეს იყო თამაში: „პოლიცია და წითლები“. ბარიკადებს ვაკეთებდით მერხებისა და სკამებისაგან. მაგრამ როდესაც თამაშს შევუდექით, არცერთ ყმაწვილს არ უნდოდა პოლიციელი ყოფილიყო.

თამაში ჩაიშალა. შემდეგ გამოვიტანეთ ასეთი რეზოლუცია:

„ჩვენთან იქმნება ორგანიზაციები პატარა სოციალფაშისტების. ისინი თავის თავს „წითელ შევარდნებს“ უწოდებენ. კლასიურად მომზადებული პროლეტარული ახალგაზრდების ბრძოლაში ისინი უკავშირდებიან „სლედოპიტებს“ და დანარჩენ ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს; ისინი დასცინიან „წითელ მოწაფეებს“. ჩვენ, პროლეტარული ბიჭები და გოგონები, ვიწყებთ ჩვენი თავდაცვითი ორგანიზაციის შექმნას. ჩვენს წითელ საბავშო ჯგუფს ვუწოდებთ „წითელ შუბს“. ეს იქნება, „მოზარდი სპარტაკელების“ თავდაცვითი რაზმი.



ქოხ-სამკითხველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგრეშუმის საქსოვი ქარხანა

### კედლის სურათები

— იქნებ თქვენ ის კედლის სურათები მოგაგონდათ, რომლებიც თქვენს ოჯახში კედლებზე არის გაკრული: ნათესავის, ანდა თქვენი სოფლის ლამაზი ადგილების ფოტოგრაფიული თუ ფანქრით ნახატი სურათები. არა, ფაბრიკაში მომუშავე ამხანაგს აინტერესებს ნათესავისა და სოფლის სურათები, იგი უფრო იმ სურათებზე ზრუნავს, რომლებზედაც ახლა მინდა გესაუბროთ და რომლებიც ფაბრიკაში შესვლისთანავე დამიდგა თვალწინ.

აი, ეს სურათი, კედლის დიდ ნაწილს რომ ფარავს, წარმოადგენს მთელი ქარხნის საქმიანობას, დიაგრამებში გამოსახულს. ეს კიდევ მუშათა რაოდენობას, მათ შემადგენლობას და სხვა.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო ეს სურათია: იგი წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების შედეგს 1929-30 წლის I კვარტალისათვის. სურათი თითქო ცოცხალია და თავიდან ბოლომდე გასაგები უცხო მომსვლელთათვისაც: ზედ გამოსახულია ფაბრიკის ოთხივე განყოფილება: 1, სამასრე, 2. საქსელე, 3. საქსოვი და 4. სახვევი. მოცემულია სურათებით მათი მიღწევები სოცშეჯიბრებაში.

1. სამასრე განყოფილება, ქალის სახით, ზის მატარებელზე; მატარებელი მიქრის და ატყობთ, რომ ამ განყოფილებამ საწარმოო ნორმა ნოემბერში შესრულა 111 პროცენტით და დეკემბერში კი 102%-ით.

2. საქსელე განყოფილება ზის ტრამვაიზე (მამაკაცის სახით), ტრამვაიც არა ნაკლები სიჩქარით მიექანება წინ და აღნიშნავს, რომ მასზე მჯდომმა განყოფილებამ ნოემბერში 77 პროცენტით და დეკემბერში 114 პროცენტით შეასრულა საწარმოო ნორმა.

3. საქსოვი განყოფილება ჯაგლაგ ვირზე ზის. ვირი დაზგაშია შებმული და მთელი შესაძლებლობით ეზიდება, მაგრამ... მაგრამ მაინც ამ „ყოჩაღი ცხოველით" განყოფილებას საწარმოო ნორმა ნოემბერში 64 პროცენტით და დეკემბერში 70 პროცენტით ძლივს შეუსრულებია.

4. სახვევი განყოფილება დაზგაში შებმულ კუზე ზის და კოჭის ნახვრეტში იცქირება. იგი ზის დინჯად, აუღელვებლად, თითქოს სადარდელი შემოლევია და განცხრომას ეძლევა, მაგრამ ნახეთ ამ განცხრომის შედეგი: საწარმოო ნორმა ნოემბერში 57 პროცენტით და დეკემბერში 63 პროცენტითაა შესრულებული.

მე გეუბნებით, რომ ასეთ სურათებს უფრო მეტი დანიშნულება აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის, ვიდრე ჩვეულებრივ საოჯახო კედლის სურათებს. მე მგონია, რომ თქვენც დამემოწმებით. აბა დაფიქრდით: რამდენ ადამიანს გაახარებდა ეს სურათი მასზე დახატული მატარებლითა და ტრამვაით, რამდენ ადამიანს აგრძნობინებდა გულში ტკივილს და დამცირებას ვირი და კუ, მაგრამ შემდეგისათვის ყველა მათ წააქეზებდა, გაახალისებდა ახალი გამარჯვებისაკენ, მატარებლისა და ტრამვაისაკენ.



საქსოვი დაზგა

და მე გეუბნებით იმასაც, რომ ეს ხალისი იმდენად დიდია, იმდენად გაიზარდა, რომ მალე ყველა განყოფილება მატარებლის და ტრამვაის სისწრაფით წავა წინ, შრომისნაყოფიერების დიდი გაზრდით.

მოსამზადებელ ცეხში შევედი.

ფუსფუსებენ ქალები, შრომობენ, ამოქმედებენ და უხელებენ მანქანებს.

— ამხანაგო, თუ შეიძლება, ამ ცეხის მუშაობა გამაცანი,—მივმართე ერთ მათგანს.

— კი, მაგრამ რაში გესაჭიროებათ?

— მინდა შემდეგ ამ თემაზე ჩემს ამხანაგ პიონერებს ვესაუბრო.

— ძალიან კარგი, საიდან დავიწყოთ?

— აი, პირდაპირ ამ ძაფიდან,—ხელი მოვავლე ნედლ გაუხმარებელ ძაფს, რომელიც, მგონი, ოზურგეთიდან მიეღოთ და ფაბრიკა საქსოვად ამზადებდა.

— შე კარგო კაცო, ძაფის საშუალებით, როგორც ამბობენ, ძველი ბერძენი გმირი ლაბირინტიდან გამოვიდა და ნუთუ შენ ამ დიდ ფაბრიკაში არ შეგიძლია ძაფის გაყოლა, რომ ამით გაიგო ჩვენი ცეხის შრომაც და ქსოვის პროცესიც? გაჰყევი ძაფს,—მიმითითა ამხანაგმა მქსოველმა.

შემრცხვა, რომ ეს საქმე ჩემით ვერ მოვიფიქრე.

ჩემო მკითხველებო, მე ახლა მივყვები ძაფს, თქვენც გამომყევით და ვნახოთ, სად იქნება ამ ძაფის მეორე ბოლო.



ძაფის გადახვევა კოჭებიდან ბარაბანზე

ოზურგეთის ფაბრიკებში დამზადებული ძაფი თოკივითაა დახვეული. ასეთ ძაფს იმერეთში „შტოლას“ უწოდებენ. მას ამ ფაბრიკაში ყუთებით აგზავნიან.

აი, უკვე ჩვენი ძაფის „შტოლები“ ჯარაზე გადაიტანეს.

ტრიალებს ჯარა, და ფაბრიკაში გაისმის აბრეშუმის შრიალი. რამდენიმე ასი ასეთი ჯარაა დაზგაზე ჩამწკრივებული ორ რიგად, მუშაობენ ელექტრობით. ყოველ ჯარას უდგას მუშა და უხელებს. ჯარები და მათი გაჩერება-ამუშავება მათ წინ მდგომი მუშის ხელშია.

ჯარას ქვემოთ მოთავსებულია მოძრავი ლურსმნები, რომლებზედაც ამაგრებენ კოჭებს. ეს კოჭები განუწყვეტლად ტრიალებს.

აი, ჩვენი ძაფის თავი გადმოვიდა კოჭაზე, შემოეკრა მას, დაეხვია და სწრაფად აავსო იგი. სავსე კოჭა მუშამ მოხსნა, მის ადგილს ახლა სხვა დაამაგრა...

ზოგ კოჭაზე დახვეული ჩვენი აბრეშუმის ძაფი ქსელის „ლენტების“ გასაბმელად წავიდა (ამ კოჭის ძაფის მოხმარება ქსოვაში ორგვარად შეიძლება: მისაქსოვად და ქსელად. ქსელი ეწოდება იმ ძაფს, რომელსაც დაზგაში გადაჭიმავენ ხოლმე და რომელზეც საქსოვი მაქო ჩააქსოვს მისაქსოვ ძაფს. მისაქსოვი კი ის ძაფია, რომელიც მაქოს აქვს პირში), ზოგიც სამასრე განყოფილებაში მასრებზე გადასახვევად. ჯერ მივყვეთ პირველს:

ჩვენი ძაფი კოჭებით საქსელე მანქანასთან მივიდა, იქ ლურსმნებიან დაფაზე წამოეგო, სადაც 500—600 ასეთი კოჭაა დამაგრებული. აი, ამ კოჭებზე დახვეული ძაფის თავები ერთად შეკრიბეს **ბერდოსთან.** ბერდოზე ისინი დააწყვეს, განარიგეს და ლენტივით გაიჭიმეს,—უკვე გაკეთდა ქსელის ლენტი. ლენტი შეიძლება იყოს 200-დან 500 მეტრამდე, იგი ბერდოდან „ბარაბანზე“ გადაეხვევა. ეს იმიტომ, რომ 500 მეტრი ლენტის გაბმა ერთ ოთახში შეუძლებელია, ამიტომ მას ბარაბანზე გადაახვევენ და თვით ბარაბანი აღნიშნავს, დარეკვით და ციფერბლატის საშუალებით, ყოველ 50 მეტრს. ბარაბანი შესაძლებელია მივამსგავსოთ პიონერთა ჩვეულებრივ ბარაბანს, მხოლოდ უფრო განიერია.

ბარაბანიდან ძაფი „ღერძზე“ გადავიდა. ღერძიც ჩვეულებრივ ურმის ღერძს ჰგავს, იგი რგვალი და გრძელი ხის მორია. ღერძზე ძაფის ყოველ ფენას შუაში მუყაოს უდებენ, რომ ძაფის ფენები ერთმანეთში არ აირიოს.

უკვე ლენტები გამზადებულია საქსელედ და საქსოვად, და ამ განყოფილებასაც ეთხოვება ჩვენი ძაფი.

ქალებმა ღერძი დაზგასთან მიიტანეს, მასზე გადაჭიმული ძაფის წვერები თითოეულად გაუყარეს **დგიმში** ისე, რომ დგიმის ყოველ კბილში თითო ძაფის წვერი გავიდა. ასეთი დგიმები დაზგაზე შესაძლებელია მრავალი იყოს, მხოლოდ არა ნაკლებ ორისა. დგიმიდან ძაფი სავარცხელში გავიდა, დამაგრდა, და უკვე საქსოვად მზად არის.



ძაფის გადაყვანა დგიმებში



სახეებიანი ქსოვილის დამზადება.

აი აქ შეხვდა საქსელე ძაფს მისაქსოვი ძაფი. იგი კოჭებიდან ელექტრომანქანით მასრაზე გადასული, შემდეგ ეს მასრა მაქოში მოუთავსებიათ, მაქო მოუწყვიათ და საქსელე ძაფში ჩასაქსოვად წამოუღიათ. აქ დაიწყო აბრეშუმის ქსოვა.

### ქსოვა.

შეიძლება თქვენს შორის მრავალმაც იცის, როგორ ქსოვდენ ოჯახებში წინად „დარაიას“, სარტყე შალს და სხვა, რა დიდხანს უნდებოდენ თუნდაც ერთი არშინის მოქსოვას, რა ნელა გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ხელით მაქო. ქსოვდენ გაჭირვებით, ისე რომ ქალი როცა ახალ კაბას ჩაიცვამდა, იმ დღიდანვე უნდა დაეწყო მეორე საკაბის ქსოვა, რომ ამის დახევაში მოესწრო მეორე საკაბე. აქ კი თითოეული დაზგა დღეში რამდენიმე ათეულ მეტრს ქსოვს, და მთელი ფაბრიკა რამდენიმე ათასეულს.

დგიმების მოძრაობა ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ ხდება. დგიმებს ელექტრობა ამოძრავებს, რომელიც დაზგაზე მოთავსებული პატარა დიზელებიდან მოდის.

ქსელი დგიმების მოძრაობით ორ ჰორიზონტალურ ფენად იყოფა. ეს ორივე ფენა ერთმანეთის გვერდის შევლით მოძრაობს რიგ-რიგობით, ალმა-დალმა. ასე რომ, როცა ერთი მაღლა წავა, მეორე ქვემოთ დაეშვება და მათ შორის რჩება არე. აი ამ არეში გაისრიალებს ხოლმე მაქო და ჩასტოვებს ძაფს; როცა ზედა ფენა ქვემოთ დაეშვება და ქვედა პირიქით, ჩასაქსოვი ძაფი დაეტანება მათ შორის და ქსელს მიექსოვება. აქ ჩასაქსოვ ძაფს ჩაჰკრავს სავარცხელი და ქსოვილად დატკეცავს.

მაქო მოძრაობს მანქანის საშუალებით, ჰორიზონტალით. დაზგის ორსავე გვერდით მოთავსებულია მოძრავი ბერკეტები. როცა მაქო ბერკეტთან მივა, იგი დაჰკრავს მაქოს, გაასრიალებს ქსელის ორ ფენას შორის და მეორე ბერკეტამდე მიიყვანს დარტყმის სიძლიერით. მეორე ბერკეტიც იქიდან შემოჰკრავს მაქოს, გამოასრიალებს ქსელის შენაცვლებულ ფენებში და ისევ პირველ ბერკეტამდე მოაგდებს. ასე მეორდება მაქოს გასროლა, რომელიც ამგვარად დაატარებს ფენათა შორის მისაქსოვ ძაფს, აქსოვს და აკეთებს ქსოვილს.

ამგვარად მოქსოვილი მატერია რეგულატორის საშუალებით გადაეხვევა ქვემოთ დაზგაზე მოთავსებულ მორგვს. ყოველი 50 მეტრის მოქსოვის შემდეგ ქსოვილს მოჰრიან მორგვიდან და გადასცემენ დამახარისხებელ განყოფილებას. დახარისხების შემდეგ ქსოვილი გადაეცემა გამწმენდ დაზგებს, სადაც ქსოვილი სუფთავდება ნასკვებისა და „კვირტებისაგან“. გაწმენდილი ქსოვილი სამღებროში მიდის შესაღებად.

არის ისეთი დაზგები, რომლებიც თვითონ უკეთებენ ქსოვილს ლამაზ სახეებს. ასეთ დაზგებს „ჟაკარდის სისტემის მანქანები“ ეწოდება. ამ პროცესების შემდეგ მატერია გატარდება განსაკუთრებულ მანქანებში, სადაც იგი სწორდება და უთოვდება.

ასე მივედი ძაფის მეორე ბოლომდე.



პიონერი ასწავლის წერა-კითხვას მეეზოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთარი [1]

— ჩვენ, —დაასრულა თავისი სიტყვა მთვარაძემ, — გვინდა სოფლის დღევანდელი უბირი, მძიმე და გაჭირვებული ცხოვრება ძირ-ბუდიანად გარდავქმნათ და დავაყენოთ ის კულტურისა და აღორძინების გზაზე. ამას კი შევძლებთ მხოლოდ კოლმეურნეობის ჩამოყალიბებით და განმტკიცებით, ამიტომ ჩემი რჩევაა სოფ. კარეთის ყველა გლეხი ჩაეწეროს კოლექტივში და დღეიდან გაერთიანებული ძალ-ღონით შეუდგეს გაერთიანებული სახნავ-სათესი მიწების დამუშავებას. მხოლოდ ის ბნელი პირები კი, რომლებსაც წარმოადგენენ კულაკები და სხვა ნაძირალები, სასტიკად იქნებიან დასჯილნი, სოფლიდან გადასახლებითაც კი, თუ ოდნავ მაინც შეუშლიან კოლმეურნეობის შექმნა-განმტკიცების საქმეს ხელს.

ამით დაათავა მთვარაძემ თავისი სიტყვა.

ბევრი გლეხის ტაშის გრიალმა დააჯილდოვა ის ასეთი სიტყვისთვის.

გლეხები ისევ აჩოჩქოლდენ.

ზოგნი სიამოვნებით და პირზე ღიმილით უზიარებდენ ერთმანეთს ნათქვამისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას, ზოგს კი თავი ჩაეკიდა და რაღაც ფიქრს გაეტაცნა.

სულ განაპირად მდგარ გლეხთა ერთი ჯგუფი კი, რომლის უკანა რიგში შეამჩნევდით ბათლომეს და ზოსიმეს, ხმაგაკმედით და დაქნევით ხან მთვარაძისკენ იცქირებოდა, ხან კი უკან იხედებოდა. ისინი ბათლომეს ეჩურჩულებოდენ რაღაცაზე.

ამ დროს გაისმა ხმა, და ერთი ჯგუფიდან გამოძვრა ერთი ღრმად მოხუცებული, დაფლეთილ ტანისამოსში გამოხვეული და ყავარჯენზე დაყრდნობილი გლეხი, რომელმაც თავისი მისუსტებული ხრინწიანი ხმით ნელა და გაუბედავად დაიწყო:

— ამხანაგო თავმჯდომარე, მე არა ვარ კოლექტივის მომხრე, არა. მე ღარიბი ვარ თუ გაჭირვებული, მაინც ჩემი მიწა მარჩევნია ყველაფერს და ვერავის ვერ დავუთმობ, ვერა!

მოხუცის გამოსვლას მხარი მისცეს ზოგიერთებმაც.

ამით ისარგებლეს ბათლომეს ირგვლივ შეკრებილმა გლეხებმა, რომლებმაც გულისწყრომა და გაკიცხვა გამოუცხადეს მთავრობის ნალაპარაკევს.

ისევ აირია და აყაყანდა ხალხი.

ისმოდა როგორც კოლექტივის მომხრეთა, ისე უარმყოფელთა ხმები.

ამ საერთო აურზაურის დროს უკანა რიგებიდან გამოძვრა ერთი პატარა ტანის თმაწვერგაბურძგული გლეხი ისიდორე და მივიდა რა მაგიდასთან, დაიწყო თავის ზარივით წკრიალა ხმით:

— ამხანაგებო! ამხ. მთვარაძემ ნათლად და გარკვევით გაგვიმარტა კოლექტივის მნიშვნელობა და სარგებლიანობა ჩვენისთანა ღარიბი ხალხისთვის. მართლაც, ამხანაგებო, ჩვენ რისთვის ვშრომობთ, თუ არ ცხოვრებისთვის. მაშასადამე, ამხანაგებო, თუ ცხოვრება ამ კოლექტივის წყალობით უფრო კარგად და სარფიანად მოეწყობა, რატომ არ უნდა შევქმნათ ის?! ჩვენი მთავრობა ხომ მუშურ- გლეხურია და ამ მთავრობას ჩვენთვის ხომ კარგის მეტი არაფერი უნდა?! მაშ, ამხანაგებო, მთელი ჩვენი კერძო სახნავ-სათესი მიწები გავაერთიანოთ ერთ კოლექტივში და ასე ერთად და ამხანაგურად დავთესოთ და დავამუშაოთ. ვცადოთ, ამხანაგებო, იქნებ მართლა კარგი რამ გამოვიდეს ამ კოლექტივიდან. მაგრამ თუ ბოლოს შევხედავთ, რომ არაფერი სასარგებლო არ არის, ხომ ყოველთვის შეგვიძლია თავი მივანებოთ კოლექტივებს.

ისიდორეს სიტყვა თითქმის ყველამ მოიწონა.

მოიწონეს იმ გლეხებმაც, ამდენხანს რომ დუმდენ და იჭვით და შიშით სწონიდენ „კოლექტივის“ შექმნის საკითხს.

[1] დასაწყისი იხ. „პიონერი“, № 9

ეს შეამჩნია თანდილამ და ტარასისთან და მთვარაძესთან რაღაცა წათათბირების შემდეგ წამოდგა და მიმართა ხალხს:

— მაშ ასე, ამხანაგებო, ჩვენ ძალას არავის არ ვატანთ კოლექტივში შემოსასვლელად. როგორც ისიდორემ სთქვა, შევქმნათ ეს კოლექტივი. შევუდგეთ მიწების ერთად დამუშავებას. ვინ იცის, ამით იქნებ მართლაც კარგი და სასარგებლო ცხოვრება მოვაწყოთ, მაგრამ თუ ბოლოს შევხედეთ, რომ კარგად არ წავიდა საქმე, ისიდორესი თქმის არ იყოს, თავი მივანებოთ.

მაშ, ამხანაგებო, ვინც არის მომხრე კოლექტივში ჩაწერისა ვთხოვ მოვიდეს აქ მდივანთან, ამხ. ანეტასთან, და ჩაეწეროს.

თანდილას წინადადებას კმაყოფილებით გამოეხმაურენ გლეხები, რომლებიც რამდენიმე წუთის შემდეგ მაგიდასთან მჯდარ მდივანთან იკრიბებოდენ და ხელს აწერდენ, ან ჯვარს უსვამდენ კოლექტივში შემსვლელთა სიას.

ამასობაში მზეც ჩავიდა.

არემარეს ლურჯი ბინდ-ბუნდი გადაეფინა. აქა-იქ აფართხალდენ ღამურები და საღამოჟამის სხვა ფრთოსნებიც.

მარტის მზით შემთბარი მახლობელი ჭაობებიდან მოისმოდა ბაყაყების ყიყინი და ჟრიამული.

ღამე შავი ნაბადივით გადაეკრა მიდამოს, და როცა ხალხმა ნელი ნაბიჯით და ერთმანეთში კოლექტივის შესახებ დინჯი ბაასით დაცალა ეკლესიის ეზო და ქოხებისკენ გაეშურა, სამრეკლოს ქვეშ ჭრაქით განათებულ მაგიდას ისევ უსხდენ ტარასი, თანდილა, მთვარაძე, ვარდენი, ანეტა და რამდენიმე კომკავშირელი და დასცქეროდენ რა სიას, რომელზედაც ჩამოწერილი იყო 120 გლეხის სახელი და გვარი (სულ სოფ. კარეთში 200 კომლამდე ითვლებოდა), ბჭობდენ და აწყობდენ გეგმას, თუ როგორ შედგომოდენ ხვალიდან მიწების გაერთიანებას და მუშაობის გაჩაღებას.

## V

— მამა!—მოესმა თანდილას, როცა მეზობლების გამოემშვიდობა და შინისკენ გასწია.

თანდილამ უკან მოიხედა; ბნელაში შეამჩნია ოთარი, რომელიც სირბილით მოსდევდა.

— სად იყავი, შვილო?—შეეკითხა თანდილა და ჩოხის კალთაზე მოხვეულ ოთარს ალერსით თავზე ხელი გადაუსვა.

— მამა, მამა!—აზლუქუნდა ოთარი.

თანდილა განცვიფრებით ჩააშტერდა ბავშს.

— რატომ ტირი, რა დაგემართა, სად იყავი?!— ერთიმეორეზე მიაყარა თანდილამ ოთარს.

— მამიკო, მამიკო! ზოსიმე, ჯურხა...

— დამშვიდდი, შვილო, რა ზოსიმე, ვინ ჯურხა?

— რაა, მამიკო, და კრებიდან ვბრუნდებოდი. ამ დროს მომესმა შენი სახელის ლანძღვა-გინება. კიდევ ცოტა ხანი, და ჩამოიარა ზოსიმემ და მისმა მოჯამაგირემ— ჯურხა ოსმა. შენ და ტარასის გაგინებდენ. ამბობდენ: „ენაჭამიას“ სიკვდილი მოენატრაო. ჩვენს მოსპობას ფიქრობენ, მაგრამ ჩვენზე უმალ თვით გაქრებიანო. მე გულმა არ მომითმინა და ამხანაგების შეუმჩნევლად, რომლებიც თან მახლდენ, უკან ავედევნე. ღამე იყო და ვერ მამჩნევდენ. საშინლად გაბრაზებული ზოსიმე გლანძღავდათ და გემუქრებოდათ. ჯურხა კი ეუბნებოდა:

— სენი წირიმე, ბატონო! ნუ ღელავ! მა თანდილაის და ტარასის ისეთი დღეი დავმართის, რომ კოლექტივი კი არა, თავი დაავიწყდის.

— ჯურხა, ამ საქმეს თუ ისე მოაგვარებ, რომ ვერავინ გაგვიგებს, ასმანეთიანი ფეშქაში ჩემზე იყოს.., გესმის?!!—უპასუხა ზოსიმემ.

შემდეგ მე კუთხეში მივდექ და შენ დაგიწყდე ცდა და.., მამიკო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ აზლუქუნდა ოთარი.—ჯურხას გაუფრთხილდი, ჯურხას, რაღაცას აპირებს.

თანდილამ წარბებდაჭმუხვნით აწონა გაგონილი. ოთარის სიტყვებმა ნათლად დაუხატა ის საფრთხე, რომელიც მის სიცოცხლეს ელის. ჩაფიქრდა.

— ჯურხა?! ოჰ, ეს ერთი ვიღაც ქურდი და თავზე ხელაღებული ოხერია, რომელიც ეს მესამე წელია ზოსიმემ ჩამოიყვანა ჯავის ხეობიდან და თავისთან ამუშავებს მოჯამაგირედ.

იცის თანდილამ, რომ ზოსიმეს ხელში ჯურხა შეუგნებელი, ავტომატიური მანქანაა, რომელსაც, როგორც უნდა, ისე გამოიყენებს.

— მამა, მამა...—ისევ ზლუქუნით დაარღვია თანდილას ფიქრები ოთარმა.

— ჯურხა ავია და ბოროტი.

— არაფერია, შვილო, ჯურხასი არ მეშინია, ვერ გაბედავენ,—უპასუხა თანდილამ და კვლავ ჩაფიქრდა: მართლა არ არის საშიშროება?!... არა, არა, ჯურხა გაბედავს, მარა... თანდილა და ტარასი ხომ დღეს ხელისუფლების წარმომადგენლებია; მაშ რატომ არ შეუძლია ზოსიმე და ჯურხა დღესვე ალაგმოს და მით საფრთხე თავიდან აიცილოს?! დიახ, დიახ, შეუძლია, როგორ არ შეუძლია... ხვალვე მივა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ტარასი რქია'შვილთან, დააბარებინებს ზოსიმეს და ჯურხას და ხელწერილს ჩაჰოართმევინეს, რომ თუ ვინიცობაა ჯურხამ რაიმე გაბედა, ზოსიმემ აგოს პასუხი თავისი სიცოცხლით.

— მშვენიერი აზრია, ჩინებულია,—ხმამაღლა წამოიძახა თახდილამ და ოთარს ალერსით მკლავები მოხვია.

— ჩემო ბიჭუნი, დამშვიდდი. ზოსიმე და ჯურხა ვერაფერს ვერ გაბედავენ. ხვალვე დავაბარებინებ მათ საბჭოში ხელწერილის ჩამოსართმევად, შენც უნდა წამოხვიდე, რომ მათ პირში უთხრა ყველაფერი, რაც გაიგონე,

— მართლა, მამიკო, მართლა!—წამოიძახა დამშვიდებულმა ოთარმა.

— ჰო, შვილო, და ეს კი ყველაფერი შენი წყალობით, რომ მათი განზრახვა დროზე შემატყობინე.

და ასე მამა და შვილი ერთიმეორესთან ტკბილი საუბრით, დარწმუნებული მასში, რომ ზოსიმე და ჯურხა ვერაფერს გახდებიან, მიუახლოვდენ თავის ქოხის კარებს.

## VI

ტანმორჩილი, ახალგაზრდა მასწავლებელი მეორე დღეს დილით ასე ეკითხებოდა მოწაფეებს:

— ბავშვებო, გუშინ საღამოს ამ სოფელში საერთო კრება მოხდა. აბა ვინ მეტყვის: რა მიზნით იყო ეს კრება მოწვეული?!

ბავშები სდუმდენ... იმათ იცოდენ, რომ კრება იყო, იცოდენ, რომ კრებაზე მეტად დიდი და ღირსშესანიშნავი რამ გადაწყდა, მაგრამ სათანადო სიტყვებით აზრის გამოთქმა უჭირდცთ და პასუხის გაცემას ვერ ბედავდენ.

— მე,მე ვიტყვი!—წამოიძახა ოთარმა და თავი ასწია.

— აბა, ფირიაშვილო, თქვი,—მიუბრუნდა მასწავლებელი ოთარს, და ისიც გაბედულად წამოიჭრა ფეხზე.

— გუშინ ჩვენს სოფელში შედგა გლეხების საერთო კრება, რომელზედაც გადაწყდა გლეხთა კოლექტივის ჩამოყალიბება,—სხაპა-სხუპით უპასუხა ოთარმა და თავისი ანთებული თვალები მასწავლებელს მიაპყრო.

— ყოჩაღ, ოთარ. აბა, ახლა, ბავშებო,—მიუბრუნდა მასწავლებელი სხვებს,—რომელი თქვენგანი მეტყვის: რაა კოლექტივი?

ბავშები ისევ სდუმდენ, ოთარი კი თითაწეული გაბრწყინვებული სახით მისჩერებოდა მასწავლებელს.

— მე ვიტყვი!—წამოიძახა უკანა რიგებში მჯდომმა მოწაფემ და ფეხზე წამოდგა.

— აბა, შენ, ტატიშვილო!—მიუბრუნდა მას მასწავლებელი.



ბავშები ხეებს რგავენ

— როგორც მამაჩემმა სთქვა წუხელი, კოლექტივი ის არის, როცა გლეხს ჩამოართმევენ ყველაფერს და შიმშილით მოკლავენ. ამიტომაც,—გახაგრძო ისევ ამ მოწაფემ,—მამამ სთქვა, მე არასგზით არ შევალ კოლექტივშიო, კოლექტივი ბატონყმობააო.

— არა, ამხანაგო მასწავლებელო, არა, ტყუილს ამბობს,—ვერ მოითმინა ოთარმა და თითის აწევით ისევ სთხოვა მასწავლებელს სიტყვა.

მასწავლებელმა დაჭმუხვნილი წარბებით გადახედა ტატიშვილს. მიხვდა, რომ ამ მოწაფის პირით სოფლის კულაკი ბათლომე ტატიშვილი ლაპარაკობდა.

— მე, მე, მასწავლებელო, მე ვიტყვი,—არ ისვენებდა ოთარი.

— შენ, ტატიშვილო, მამაშენის ანკესზე წამოგებულხარ. არ იცი, დაჯექი. აბა, ფირიაშვილო, აგვიხსენი: რას ნიშნავს კოლექტივი?

— კოლექტივი რას ნიშნავს და,—დაიწყო ოთარმა,— ეს არის ღარიბი გლეხების შეკრება და გაერთიანებული მიწების საერთო ძალ-ღონით დამუშავება. ივლიანე ტატიშვილი კი ტყუილს ამბობს, იმიტომ რომ მამამისი ბათლომე კულაკია, კოლექტივში არ მიიღეს და ახლა რომ შური იძიოს და კოლექტივს სახელი გაუტეხოს, ათასგვარ ჭორს ავრცელებს.

— ყოჩაღ, ფირიაშვილო, ყოჩაღ!—მოუწონა მასწავლებელმა ოთარს.

— მასწავლებელო, მე კიდევ მაქვს სათქმელი,—განაგრძო ისევ ოთარმა,—კულაკები ამით კიდევ არ კმაყოფილდებიან. იმათ, როგორც ეს ჩემი ყურით გავიგონე წუხელი, ზოსიმესა და მისი მოჯამაგირე ჯურხას ლაპარაკიდან, გადაწყვიტეს მამაჩემის და ტარასის, როგორც კოლექტივის მეთაურების, მოკვლა. ამიტომ მე დღეს საბჭოში ვარ დაბარებული და უნდა გამიშვა.

— რაო, რას ამბობ, ოთარ? მართლა?— განცვიფრებით შეეკითხა ფერგადაკრული მასწავლებელი ოთარს.

— დიახ, მასწავლებელო, მაგრამ, როგორც მამამ სთქვა, საშიშარი არაფერია. დღესვე საბჭოში მამა დაიბარებინებს ზოსიმესა და ჯურხას და პირობას დაადებინებს მათ, რომ ხელი არ ახლონ. მეც უნდა დავესწრო ამ ამბავს.

მოწაფეები ახმაურდენ. ყველასთვის ნათელი შეიქნა, თუ რა არის კოლექტივი და ვინ არიან კულაკები.

ზოგიერთი მოწაფე განცვიფრებით იცქირებოდა უკან და ათვალიერებდა ივლიანე ტატიშვილს, რომლის მამას და ბიძას ასეთი საშინელი საქმე განუზრახავსთ.

მასწავლებელმა ცალკე გაიხმო ოთარი და ერთხანს ეჩურჩულა, შემდეგ მობრუნდა და დაუწყო ბავშებს ახსნა-განმარტება, თ. უ. რა არის კოლექტივი, ვინ არიან კულაკები, რატომ ებრძვიან კოლექტივს და სხვა. ოთარმა კი მასწავლებლის ნებართვით აიღო თავის ჩანთა და გასწია საბჭოსაკენ.

VII

საბჭოს თავმჯდომარის ოთახი სავსე იყო კოლექტივის სხვადასხვა საქმეების შესახებ მოსული გლეხებით.

მაგიდას უსხდენ ტარასი რქიაშვილი და თანდილა და გლეხებს აღძრულ საკითხებზე პასუხს აძლევდენ.

უცებ გაიღო კარი და ოთახში შემოიჭრა სახეაწითლებული ოთარი.

— ჰა, ოთარ! ყოჩაღ, ბიჭიკო!—დანახვისთანავე მიაძახა ტარასიმ და თავისი გრძელი მკლავებით ბავში აიტაცა.

— ასე, ბიჭიკო, ასე! მამაშენს უნდა დაემგვანო... მასავით უნდა გტკიოდეს გული მშრომელ ხალხზე;

— აბა, ახლა ქიტესა,—მიაძახა იქვე კართან მდგომ დარაჯს ტარასიმ და ოთარი ძირს დაუშვა.— შემოიყვანე ზოსიმე, ბათლომე და ჯურხა, დროა დავიწყოთ.

ოთარი სიხარულისაგან თრთოდა, სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა ხან თანდილას და ხან ტარასის, რომელთა თვალში ის ახლა გმირი გახდა. გრძნობდა, რომ მას ხვდა წილად დიდი, სულ დიდი ბედნიერება: ძირშივე ჩაჰკლას კოლექტივის მტერთა ბოროტი და სისხლიანი განზრახვა-ფიქრები, სასწავლებელშიაც ხომ ის უკვე გმირად გადაიქცა.

თრთის სიხარულისაგან ოთარი, თრთის!..

განცვიფრებულნი, მძიმე ნაბიჯით, წელმოწყვეტით შემოვიდენ ბათლომე და ზოსიმე. მათ უკან მოჰყვებოდა ჯურხა.

— აბა, დავიწყოთ,—წამოდგა ფეხზე ტარასი და მთელი თავისი გოლიათური ტანით აღიმართა ბათლომეს და ზოსიმეს წინაშე.

— თქვენ ერთი ცუდი რამ განგიზრახავთ, დაიწყო ტარასიმ და თან ულვაშების გრეხით განაგრძო: — მაგრამ სჯობს თვით თქვენი პირით აღიაროთ ყველაფერი, რაც გულში გაქვთ.

ბათლომე სდუმდა, ზოსიმემ კი, ელდანაცემივით რაღაცაზე დაეჭვებულმა, უკან მოიხედა და ქურდულად ჯურხას ჩახედა, რომელიც განცვიფრებით უცქეროდა ტარასის ბრგე და ვაჟკაცურ ტანადობას.

— აბა, სთქვით! — ისევ მიმართა მათ ტარასიმ.

რა ვსთქვათ, ტარასი, რას მეკითხები!—უპასუხა ბათლომემ და ჩიბუხი პირიდან გამოიღო.

— ის, რაც განიზრახეთ თანდილასა და ჩემ. წინააღმდეგ.

— რაო, მე განვიზრახე?—ისევ შეეკითხა ბათლომე.

— ჰო, მაგრამ შენ დაიცა ჯერ; აბა, შენ რას იტყვი, ზოსიმე?—მიმართა ტარასიმ ახლა ზოსიმეს, რომელიც ფერგადაკრული და თვალებმიბჟუტული იდგა.

— მე?!! — შეკრთა ზოსიმე.

— ჰო, შენ! რატომ შეკრთი?! რა ნაზი არსება ყოფილხარ?—ირონიულად დაატანა ტარასიმ.

— რა ვთქვა?!—ისევ იკითხა ზოსიმემ.

— ის, რაც თანდილასა და ჩემ შესახებ გადაწყვიტეთ შენ და ჯურხამ, რომელსაც ას მანეთს შეჰპირდი.

ზოსიმეს თვალთ დაუბნელდა, ვერ წარმოედგინა, საიდან გაიგო ყველაფერი ტარასიმ. ნუთუ ვინმემ მოაყურა?!

ნუთუ... მაგრამ მაშინ რომ ქუჩაზე არავინ ჩანდა?!. მაშ საიდან გაიგეს ეს ტარასიმ და თანდილამ?!! ნუთუ ჯურხამ?!

და ზოსიმემ ისევ ქურდულად მოიხედა უკან, ჩააცქერდა ჯურხას, რომელიც მასზე არა ნაკლებ შეშფოთებული განცვიფრებით გამოიყურებოდა. არა, ეს ამბავი ჯურხასთვისაც მოულოდნელია. მაშ ვინ, ვინ?!

— აბა, რას იტყვი, ზოსიმე?—დაარღვია ზოსიმეს ფიქრთა მიმდინარეობა ისევ ტარასიმ. — რას ჩაფიქრდი, სთქვი, შე კაი კაცო, როგორ გადაწყვიტეთ ჩემი და თანდილას სიკვდილი შენ და ჯურხამ.

— ტარასი, თქვენ დამცინით. მე არაფერი არ გადამიწყვეტია და არც არაფერი არ ვიცი,—თავაუღებლად ყრუდ წაილუღლუღა ზოსიმემ.

— მაშ კარგი. შენ არ ამბობ. აბა შენ, ჯურხა, შენ რას იტყვი?—მიუბრუნდა ტარასი ჯურხას.

— მე? რაი ვთქვა, სენი წირიმე, მე არაფერი ვიცის.

— რაო, არც შენ ამბობ?—დაიგრიალა ტარასიმ.— მაშ კარგი. ახლავე დაგიმტკიცებთ, თუ არაფერი არ იცით. აბა, ოთარ,—მიმართა ტარასიმ იქვე ციყვივით ხის მორზე წამოსკუპულ ოთარს,—სთქვი ყველაფერი, რაც გაიგონე გუშინ ამ ვაჟბატონებისაგან.

ოთარი ცქვიტად წამოხტა ფეხზე ცოტათი შემკრთალი, ცოტათი კიდეც შეშინებული, რომ ამდენ ხალხში პირველად უხდება მას მარტო ლაპარაკი.

— აბა, ოთარ, დაადო ტარასიმ მხარზე ხელი,—სთქვი, ბიჭუნა, ყველაფერი.

და ოთარმაც გაუბედავი ათრთოლებული ხმით უამბო დამსწრეთ დაწვრილებით ყველაფერი, რაც გაიგონა წინაღამ ზოსიმესა და ჯურხას ლაპარაკიდან.

გაათავა ოთარმა თავისი სიტყვა.

ტარასიმ თავისი უზარმაზარი მკერდის წინ წამოწევით ნიშნის მოგებით მიახალა ბათლომეს, ზოსიმეს და ჯურხას, რომლებსაც თავი ჩაეღუნათ და იატაკს ჩასცქეროდენ, შემდეგი სიტყვები:

— აბა, ახლაც იუარებთ მას, რაც გადაწყვიტეთ?!

— მე რომ არაფერი შუაში არა ვარ, რა უნდა ვიუარო!—ოდნავ თავის წამოწევით წაიბურდღულა ბათლომემ.

— შენ, ვთქვათ, ამ შემთხვევაში არა ხარ დამნაშავე, თუმცა შენც ამათზე ნაკლებ კბილებდალესილი მგელი არა ხარ... მაგრამ თქვენ, თქვენ რას იტყვით, ზოსიმე და ჯურხა? რით შეგიძლიათ გაიმართლოთ თავი?! —მიმართა ტარასიმ ამ უკანასკნელთ.

— ყველაფერი ეს, რაც ამ ბიჭმა სთქვა, ტყუილია! —წამოიძახა ზოსიმემ და თავისი აბრიალებული თვალები ბოროტად მიანათა ოთარს.

— რაო, ტყვილიაო?! არა, არა, არ დაუჯეროთ, მე ჩემი ყურით გავიგონე!—გაცხარდა ოთარი და გაბრაზებული სახით თანდილას ჩოხის კალთებს მიეყრდნო.

— კმარა ამაზე ამდენი ლაპარაკი,—წარმოსთქვა თანდილამ და წინ წამოდგა.—ამხ. ტარასი, უკვე ცხადია ყველაფერი. თავისთავად, ცხადია, მგელი არასდროს არ გეტყვის, რომ ის მგელია ანდა რა განზრახვა უძევს გულში. მაგრამ კმარა. აი, ვაცხადებთ საჯაროდ, გლეხობა, ისმინეთ— მიმართა თანდილამ ოთახში შეკრებილ გლეხებს,—ეს კულაკები, რომლებიც მოსისხლე მტრებია საბჭოთა ხელისუფლების, დღეს ეწევიან გააფთრებულ ბრძოლას კოლექტივის წინააღმდეგ. ამისთვის მათ უკვე გადაწყვიტეს ჩემი და ტარასის, როგორც კოლექტივის მეთაურების, მოკვლა. თვით თქვენ სთქვით ახლა, რა მივუსაჯოთ მათ ასეთი საშინელი განზრახვისთვის, რომელიც შემთხვევით, ამ ჩემი ბიჭის წყალობით რომ არ გამომჟღავნებულიყო, შეიძლება კიდეც შესრულებულიყო.

წუთის წინ ყურადღებად გადაქცეული გლეხები უცებ აყაყანდენ... აქა-იქ გაისმა აღშფოთების ხმამაღალი წამოძახილი.

— გადავასახლოთ, სოფლიდან გადავასახლოთ.

— არა, დავატუსაღოთ და გორში გავგზავნოთ.

— უფრო კარგი იქნებოდა, რომ მთელ მოძრავ-უძრავ ქონებას ჩამოვართმევდეთ და ისე დავტოვებდეთ შარაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ამხანაგებო,—მიუბრუნდა გლეხებს ტარასი. ჯერჯერობით, რადგან ბოროტმოქმედება მომხდარი რაა, ასეთ ზომებს ნუ მივიღებთ. ჩემი წინადადებაა, აქვე, ...ენი ხალხის წინაშე, ბათლომემ და ზოსიმემ დასდვან ...რობა, რომ როგორც მე და თანდილას, ისე სხვა ამხა...გებსაც მათი მიზეზით ერთი ღერი ბალანიც კი არ ...ერხეს თავზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხს ...სცემენ თავისი სიცოცხლით. მომხრე ხართ, ამხანაგე...ო, ამის თუ არა?!

— კი, კი, კარგია!

— ასე სჯობია, ბოროტმოქმედება ჯერ ხომ არ მო...დარა?

კვლავ ახმაურდენ და აყაყანდენ გლეხები, ტარა...იმ კი განაგრძო:

— რაც შეეხება ჯურხას, მას, როგორც მოჯამა...ირეს, მიეცეს წინადადება შემოვიდეს ჩვენთან კოლე...ტივში და დაიწყოს მუშაობა. ხოლო თუ ეს არ სურს, ...მაშინ უნდა გაშორდეს ზოსიმეს და წავიდეს თავის სო...ელში. მომხრე ხართ, ამხანაგებო, ამის თუ არა?

— კი, კი... კარგია, მარა კოლექტივში ნუ მივი...ებთ, საეჭვო პიროვნებაა. ისევ სჯობს თავის სოფელში წავიდეს. ჩვენი სოფელი თავისუფლად მაინც ამოისუნ...თქავს!—გაისმა ისევ გლეხების ხმა, რის შემდეგ სჯა...ბაასი დიდხანს არ გაგრძელებულა.

გააკეთეს შესაფერი ქაღალდი, მოაწერინეს ხელი ბათლომეს და ზოსიმეს, რომ არც ტარასი რქიაშვილს და არც თანდილა ფირიაშვილს და არც სხვა ვინმე ამხანაგს რაიმე ცუდი არ შეემთხვას, თორემ მათ დატუსაღება არ ...აცდებათ. შემდეგ მისცეს წინადადება ზოსიმეს, რომ ...ხვალვე გაუსწოროს ჯურხას ანგარიში და გაისტუმროს.

სადილობის დრო იქნებოდა, როცა თანდილა და ოთარი ხელიხელჩაკიდებულნი, სახეგაბრწყინებულნი და მხიარულნი გაუდგენ გზას შინისაკენ. მზე იყო მცხუნ...ვარე და ალერსიანი. ოთარიც თითქოს შესცინოდა ამ მზეს, ამ ცას, ამ ახალ გაზაფხულს. მათსავით გულმხია...რული და ამაყია ახლა, რადგან მას ხვდა წილად გა...მდარიყო მებრძოლი მთელ სოფელში.

VIII

გორიდან გამოიწვიეს მიწისმზომელი.

მდ. რეხას მარცხენა ნაპირზე მდებარე ფართო და ნოყიერი მიწები მიუზომეს კოლექტივს.

იმ გლეხებს კი, რომლებიც კოლექტივის წევრი არ ...ყვნენ და რომელთა მიწები კოლექტივის ფარგლებში მოხვდა, სათანადო მიწა მიეზომათ მდინარის მეორე ნა...პირზე.

გაჩაღდა თესვის კამპანია.

მეტად სასიამოვნო სანახავი იყო კოლექტივი. გა...თენდებოდა თუ არა, ზარი მოუწოდებდა გლეხებს კო...ლექტივში სამუშაოდ. გლეხებიც თოხებით, ბარებით, გუთნებით და სხვა სამუშაო იარაღებით, სიმღერა-ყიჟი...ნით გაივლიდენ რეხას ხიდს და შეესეოდენ ჭალას სამუ...შაოდ. სპობდენ მიჯნებს, პოხიერდებოდა რეხადან ურმე...ბით ამოტანილი შლამით ზოგიერთი მწირი და ხრიოკი მიწა, იმართებოდა გუთნები, რომლებიც ჭალის სხვადა...სხვა მხარეს ხარბად არღვევდენ მიწას და ყამირს ამ...ცნობდენ შეერთებული გლეხების ძალას. ხშირად, როდე...საც რომელიმე გუთანი რაიმე მიზეზით გაფუჭდებოდა, აქა-იქ გაისმოდა გულდაწყვეტილი ხმა ტრაქტორის შე...სახებ.

— აი დედაპა, ერთი ტრახტორი რომ ჩვენც გვა...მოვნინა?!—იტყოდა ერთი.

— მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლიც ვერ დაყეფდა, ...ემო იაგორ,—დაუმატებდა მეორე.

თანდილა, რომელიც მუდამ მათში ტრიალებდა, ...ასეთ წამოძახებას დინჯად და ჭკვიანად მიუგებდა:

— აგრონომმა სთქვა, ამხანაგებო, რომ შეერთებუ...ლი ძალით უფრო მეტი მოიხვნება და დაითესება, ასე ...რომ უტრაქტოროდაც შეგვიძლია დავუმტკიცოთ კულა-

# ამინდი

მიაქვს ნიავს
ტყის შრიალი,
და განთიადს
ეტრფის დილა.
გადაშლილა
ნადი მინდვრად,
და ჯეჯილიც
გადაშლილა.
მშვენიერობს,
ჰყვავის ბაღი
მრავალ სოფლის,
მრავალ ნადის,
დე, მრავალგან
ჰყეფდეს ძაღლი
მხეცურ ქინის,
მხეცურ მადის!..
გაიხარა
ველ-მიდამომ,
კომუნიზმის
ხარობს თესლი.
მიყრუებულ
მთებიდანაც
არტელების
ხმები გვესმის.
ტყის შრიალი
მიაქვს ნიავს,
და განთიადს
ეტრფის დილა.
გადაშლილა
მინდვრად ნადი,
და ჯეჯილიც
გადაშლილა!..

კალე ბობოხიძე

---

კებს და ყველა ჩვენს მტერს, რომ კოლექტივი უფრო მეტს დაამუშავებს და უფრო კარგ ცხოვრებას შეუქმნის მასში შემავალ გლეხებს, ხოლო, რაც შეეხება ტრაქტორს, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენი შრომის ნაყოფიერებას ერთი-ორად გაზრდის, მას მალე შევიძენთ. ამის შესახებ მე და ტარასიმ უკვე დავსვით საკითხი საბჭოში.

და კოლექტივის მიწებიც ყოველდღე ივსებოდა იმედით და სიხარულით.

მუშაობდენ კოლექტივის გარეშე დარჩენილი გლეხებიც. სოფელი თითქოს ორად გაიყო: ერთ მხარეზე იდგა კოლექტივი, მეორე მხარეზე მისი მოწინააღმდეგენი, რომლებსაც მეთაურობდენ ბათლომე და ზოსიმე. ჩაეფუშათ რა ტერორით კოლექტივის დაშლის გეგმა, მეტად გაბრაზებულნი მით, რომ მათი ერთგული და ყურმოჭრილი მონა ჯურხა განდევნილ იქნა სოფლიდან, ბათლომე და ზოსიმე მხოლოდ იმას ცდილობდენ, რომ სხვა გზით და ხერხით გამოეთხარათ კოლექტივისთვის ძირი. ამიტომ ისინი თავის გავლენის ქვეშ მყოფ გლეხებს ამხნევებდენ და აიმედებდენ, ხშირად ათხოვებდენ გუთნებს და ხარ-კამეჩებს, აძლევდენ ფულს სესხად და სხვა. ამნაირად გაჩაღდა ბრძოლა არა იარაღით, არამედ შრომით და ჰაპანის წევით, მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო: ერთ მხარეზე იდგა შეერთებულ გლეხთა ძალ-ღონე, მომავლით და იმედებით სავსე, მეორე მხარეს კი კერძოები, თავისი კერძო მიწის ნაჭრებით.

და როცა გათავდა თესვა, მთელი კოლექტივი სიხარულით აღნიშნავდა, რომ მათ მეტი მოხნეს და დათესეს, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, ხოლო რეხას მარჯვენა ნაპირზე მდებარე კერძოების მიწებში აქა-იქ ერია რძია-რძიათი შემოსილი დაუხნავი ახოები.

პ. ხამსონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა მებრძოლი

შუაღამე გადასული იყო, როდესაც გიორგის სახლის კარზე ძლიერი ბრახუნი მოისმა. „გააღეთ კარი, გააღეთ მეთქი!“—ყვიროდა მამასახლისი და თოფის კონდახს კარს ურტყამდა.

ყაზახები კი კარის გაღებას პირდაღებული მოელოდენ, რომ სახლში რაიმე საკბილო ენახათ. დედა-შვილი, კატო და მიშა, ერთმანეთს ეკვროდა შიშით.

— შენ, ე, არამზადავ, ავაზაკების მეთაურო, არ გესმის, კარი გააღე!—მოისმა ხმა აივნიდან.

გიორგი კი ამ დროს ცხარე კამათში იყო გართული სოფლის განაპირა ტყეში.

ბრახუნი მატულობდა, საფრთხე ძლიერდებოდა. კატოს შიშისაგან განძრევის უნარი დაეკარგა და კარს ვერ აღებდა.

მიშას სიმხნევე მოემატა, შეშინებულ დედას მიუალერსა და კარის გასაღებად გაეშურა. კარს რკინის ურდული ააცალა და გაღებას აპირებდა, მაგრამ შიშმა დასძლია და ისევ გაუკეთა ურდული.

— კიდევ არ აღებთ? Ну, стреляйте в них!

— და არაჩხუნდა აივანზე თოფები.

— ეხ, დედაჩემო, ჩვენი სასიცოცხლო საათები მაინც დათვლილია. წადი და მამას თოფი მომირბენინე, ამ ერთსაც ვცდი!

დედა გაიქცა შვილის სურვილის ასასრულებლად. მიშას თოფი ხელში მისცა და თვითონ კი რევოლვერით გვერდში ამოუდგა.

— არა, დედილო, აქ დგომა არ შეიძლება, წადი ბუხართან და იქ გაწექი იატაკზე, მე კი აქ ავეკვრი კედელს.

უცბად თოფების გრიალი მოისმა, დედა და შვილი დაიბნენ და ძლივს-ძლივობით იატაკზე გაწვენ.

— გესმით, ტყვიით ამოგწყვეტთ მთელ ოჯახს!—მოისმა მამასახლისის ხმა.

მიშამ მოიმარჯვა თოფი ხელში, და ჯალათთა რაზმის საპასუხოდ გაისმა თოფის ხმა.

— ოხ, ავაზაკო!

გარედან მოისმა კვნესა, და წამს ყველაფერი შეწყდა.

მიშას მიერ გასროლილ ტყვიას დაუპატიჟებელი სტუმარი ყაზახისათვის გული გაეგმირა. მამასახლისი ამ ამბავმა კიდევ უფრო გააცოფა. მან დაიყვირა: „ესროლეთ, არ დაინდოთ“ და ერთბაშად გასროლილმა ტყვიებმა ბოლის კორიანტელი დააყენა სახლის გარშემო,

კარის ბრახუნი და თოფების გრიალი ერთმანეთში ირეოდა.

გიორგის მეზობელმა ქალებმა გაიღვიძეს, მაგრამ ეზოში ჩასვლა ვერ გაბედეს.

— ქალო, ნინოია, გაიქეცი და იქნება სადმე ჩვენები ნახო, იქ გიორგიც იქნება და შეატყობინე, რა ამბავია მის ოჯახში.

— ხომ არ გაგიჟებულხარ? ამ ღამეში ვინ უნდა ვნახო, მე რა ვიცი, სად იქნებიან; გიორგის ეს თოფის სროლა არ გამოეპარებოდა!—სთქვა ნინოიამ.

მართალია, ტყვიები უშიშრად დანავარდობდა სახლში, მაგრამ დედა-შვილი ჯერ უვნებლად იყო. მათ მიერ საპასუხოდ გასროლა არ შეწყვეტილა.

— დედა, აი ამ ტყვიასაც გავისვრი, უკანასკნელია, და ვნახოთ, ვის იმსხვერპლებს,—სთქვა მიშამ და ვაზნა ჩადვა თოფში, რომელიც ზუსტად დაუმიზნა კარს.

— „ტრახ“-დაიძახა თოფმა, და აივანზე ბრახუნი მოისმა. „ოიმე!.. მომკლა... ააა, მიშველეთ. ოხ, შე ავაზაკო, ჯალათო... ურჯულო... —აღრიალდა მამასახლისი. „ვასკა, ვასკა, ვანკა, გრიშკა, ბიჭებო...

პოლიციელებს ეგონათ თოფს შიგნიდან გიორგი ესროდა; ამიტომ, როცა ორი მსხვერპლი გაიღეს, შეშინებულები შეჯგუფდენ და ისე დაიწყეს სროლა.

გიორგის იმ ღამეს რიგს გარეშე ჰყავდა კრება მოწვეული, რადგან ფრიად საინტერესო, სასწრაფო საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი.

უეცრივ გიორგის სოფლიდან თოფის ხმა მოესმა.

— ეჰე, ბიჭებო, რომელიღაც ჩვენთაგანის სახლს პოლიცია დაესხა თავს. საჭიროა ჩვენი სასწრაფო დახმარება.

— არა, ძმაო გიორგი, ყველა ჩვენს სახლში წავიდეთ, ყველა ნუ ჩავუარდებით ხელში, თორემ ჩვენს დასახულ მიზნებს ვერ განვახორციელებთ.

— გაჩუმდი, ლაჩარო! მიაძახეს ერთად.—წადი შინ და იქ დაიმალე! ჩქარა წავიდეთ, რაღა დროს ყოყმანია.

სწორედ იმ დროს, როდესაც აივანზე თავგახვრეტილი მამასახლისი დაეცა, გიორგი თავისი ამხანაგებით ეზოს კარებში იყო.

— ნეტავი გამაგებინა, ვინ ესვრის შიგნიდან,—სთქვა გიორგიმ. შინ მხოლოდ კატო და მიშა დავტოვე.

— ალბათ მიშამ მამის ხელობა დაიწყო,—სთქვეს ერთხმად გიორგის მეგობრებმა.

— აბა, ბიჭებო, ლაპარაკს თავი დავანებოთ, საჭიროა საქმეს შევუდგეთ. როგორც შევამჩნიე, ცოტანი არიან, განვაიარაღოთ ან შევაშინოთ და გავაქციოთ.

— შევაშინოთ, გავაქციოთ, უმჯობესია...— და რევოლვერების სროლით გაეშურენ ყაზახებისაკენ.

ყაზახები შეშფოთდენ, დაფრთხენ, რადგან იგრძნეს მრავალრიცხოვანი მტერი და აივნიდან აქეთ-იქით დაბნეულად ხტებოდენ, ხოლო ორი უსულო გვამი აივანზე დატოვეს. ყაზახების მიერ უკანასკნელად გასროლილ ტყვიას კატოსთვის მხარი დაეზიანებინა და გულწასულ დედას მიშა წყალსასხურებდა.

სასწრაფოდ აივანზე აირბინა.

— ეხ, ამხანაგებო, აქ ორია მკვდარი, მაგრამ არც შინ იქნება მშვიდობა!

მივიდა კართან და დააკაკუნა.

— მიშა, შვილო, გამიღე კარი!

მიშამ მიირბინა გასაღებად, მაგრამ ისევ შეჩერდა.

თუ მამა აქ იყო, რატომ არ ეწინააღმდეგებოდა, ან ახლა რათ მიწყნარდა ხმა. მერე და ცოცხალი როგორ გადაურჩა ჯალათებს?

— შვილო, გამიღე კარი, ნუ გეშინია, მე ვარ.

— მამილო, შენა ხარ?

— ჰო, შვილო, ჰო, ნუ გეშინია!

მიშამ სასწრაფოდ გააღო კარი, და გიორგი შევიდა.

— კატო სად არის, შვილო?

— იქ წევს, ვერ ხედავ ხელშეხვეულს?

— ხელზე რა დაემართა?

— დასჭრეს ძაღლებმა.

გიორგიმ სასწრაფოდ მიირბინა ჯერ კიდევ გულწასულ კატოსთან.

— კატო, კატო, ნუ გეშინია, გენაცვალე, ჭრილობა საშიში არა გაქვს. თუ კაცი ვარ, იმ ჯალათებს სამაგიეროს გადავუხდი.

— ვაიმე, მიშველეთ! მიშველეთ, ხალხო!..

— რა იყო, კატო, რა?

— როგორ თუ რა იყო, შენ დაუჭრიხართ და სისხლი მოგწამვლია, მაშ რა არის, რომ გალურჯებულხარ!

— არა, გენაცვალე, ეს თოფის კვამლის ბრალია. მე არაფერი მიშავს.

— უიმე, გიორგი, მიშველე...

— კატო, არა გრცხვენია? რა დაგემართა!

— გამიშვით, გამიშვით, მეც ჩემ მიშიკოსთან მოვკვდე, აგერ, შეხედე, ყაზახები როგორ მიარბენინებენ თავგაჩეხილ მიშიკოს.

— დედი, დედილო, მე აქ ვარ, ნუ გეშინია.

ეტყობოდა, ავადმყოფს სიცხე ჰქონდა.

— ჩემო იმედო მიშო, მითხარი, ვინ ისროდა თოფს აქედან?

— მე და დედა. სხვა ვინ იქნებოდა, მამი. მგონი ერთიც დავჭერით.

— როგორ თუ დაჭერი, გენაცვალოს მამა, ორი არის მკვდარი და მათ შორის მამასახლისი.

გიორგი გადაეხვია თავის ერთადერთ შვილს.

— რაო, მამასახლისიო?—წამოიყვირეს ერთხმად დედა და შვილმა.

„გიორგი, ე, ბიჭო გიორგი“—შემოისმა კარებში აივნიდან ჩუმი ძახილი.

— მოვალ, მანდ დამიცადეთ!

გიორგი შეიარაღდა და სასწრაფოდ აივანზე გავიდა.

— რა ვუყოთ ახლა ამ მკვდრებს.

— იქ ჩავყაროთ, წისქვილთან, ღრმა წყალში და, რომ წყალმა არ ამოაცუროს, კისერზე თოკით დიდი ქვები დავკიდოთ.

ამხანაგები მკვდრების წათრევის სამზადისს შეუდგენ, გიორგი კი ოთახში შემობრუნდა.

— მე ახლა წავალ, მხოლოდ თქვენ არ შეგეშინდესთ, თუ ისინი მოვიდენ. შვილო, აღარ შეეწინააღმდეგო, თორემ ყოველთვის ტყვია არ გასჭრის. ჩვენ აქვე ვიქნებით და საქმე ჩვენთან ექნებათ, თქვენ ნუ გეშინიათ.

— მამილო, მეც შენთან წამოვალ, თუ აქვე ვიქნებით, დედას მარტოკა არა უშავს.

— არა, ჩემო იმედო, შენ ვერ გაგიშვებ, შენ აქ უნდა მყავდე.

მიშა ყოველთვის მშობლების სურვილს ემორჩილებოდა, რადგან იცოდა მათ მისთვის კარგი სურდათ, მაგრამ ახლა ისე გატაცებული იყო ბრძოლის სურვილით, დედას აღარ უჯერიდა.

ბოლოს, რომ ვერაფერი გააწყო, კატომ გულწასულობა მოიგონა, და ავადმყოფი დედის მომვლელად დარჩა მიშა.

უკვე თენდებოდა. საჭირო იყო მეტი სისწრაფით საქმის მოგვარება. გიორგი სასწრაფოდ გამოემშვიდობა ცოლშვილს და გარეთ გამოვიდა. ფრთხილად მიდიოდა მახლობელი ხეივნებისკენ, მაგრამ ფხიზელმა ამხანაგებმა მაინც გაიგეს ფეხის ხმა.

— ჩქარა, ბიჭო, ჩქარა, რომ მოსეირნობ, საჭიროა სასწრაფოდ წავიდეთ ტყეში.

— მოიცათ, ამხანაგებო, ცოლშვილს დავუბარებ, თუ სად ვიქნებით.

და გიორგი ოთახისკენ გაიქცა.

— მიშა, მიშიკო, მე ტყეში მივდივარ და, თუ გაჭირვება იქნეს რამე, როგორმე მაცნობე. რომ მოხვიდე, დაიძახე „ვარსკვლავი“. მაშ ასე.

გიორგი და მისი ამხანაგები უკვე ტყეში იყვნენ, როდესაც რამდენიმე ცხენოსანი გიორგის სახლს გარს შემოეხვია. მიშამ გაიგონა თუ არა ცხენების

ფეხის ხმა, სასწრაფოდ ფანჯარაში გადაიხედა. დაინახა თუ არა ყაზახები, დედა გააფრთხილა, რომ წინააღმდეგობა არ გაეწია მათთვის კარის გაღებაში და თვითონ საჩქაროდ ბუხრის საკვამლის მილში შეძვრა.

„კარი გააღეთ“—მოისმა ბოხი ხმა. კატო სასწრაფოდ წამოდგა ლოგინიდან და კარის გაღებისთანავე წინ ორი ხმალამოწვდილი ყაზახი შემოეხეჩა.

— სად არის შენი ქმარი და შვილი, სოფლის გომბიო? ჩქარა სთქვი სიმართლე, თორემ ხომ უყურებ!

და ხმალი სახესთან აუთამაშა.

— მმმ... მე არ ვიცი, ბატონო... სად წავ დენ... —და სახეში მიღერილ ხმალს ხელი აჰკრა და ნეკი შეაჭრა. ვაიმე! — გულშემზარავად დაიწივლა და იქვე იატაკზე გაიშხლართა კატო.

ყაზახებმა მიათვალ-მოათვალიერეს ყველაფერი ოთახში და, რადგან ვერავინ იპოვეს, უკან გაეშურენ. ერთმა ყაზახმა კი გულწასული კატო ცხენზე შემოიგდო და გასწია უფროსთან.

მიშა ბუხრის საკვამლე მილში ძლივს სუნთქავდა და თანაც დედის წამების მოწმე იყო. დედის ყოველ დალაპარაკებაზე ჩიტივით კრთოდა და ჩქარა უნდოდა შური ეძია ჯალათებზე.

გასცილდა თუ არა ცხენოსანი ეზოს, მიშა მაშინვე გამოხტა თავისი საფარიდან და თავგანწირული სირბილით რევოლვერით ხელში უკან დაედევნა.

ყაზახი სრული დარწმუნებული იყო, რომ მას არავინ დაედევნებოდა, რადგან სახლში არავინ იყო, და თამამად მიაქროლებდა ცხენს.

ტრახ...—მოისმა ორჯერ რევოლვერის ხმა. ერთი ტყვია კისერში მოხვდა ყაზახს და მეორე მარცხენა მკლავში.

ყაზახი შეტორტმანდა, ძლივს გადმოიღო თოფი, მაგრამ შემობრუნება ველარ მოახერხა და მის მიერ გასროლილმა ტყვიამ ჰაერში გაიქროლა. ჯალათი ცხენიდან გადმოყირავდა.

სროლის ხმაზე კატო გამოფხიზლდა, თვალები გაახილა და წინ მიშა დაინახა.

— დედი, დედილო, ჩამოდი, გენაცვალე, ჩქარა, ჩქარა!

კატომ შვილის სიტყვა სასწრაფოდ შეასრულა. მიშამ იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა და შორს მომავალი ცხენოსნები შენიშნა.

— დედილო, აგერ იქიდანაც მოდიან, ჩქარა დავიმალოთ! მოდი, აი იმ ბო-გირის ქვევშ შევძვრეთ.

ყაზახები, როგორც კი მოესმათ თოფის ხმა, მაშინვე გამოექანენ, რადგან მათ ვერაფერი იპოვეს გზაზე ამხანაგის ცხენი შეეხეჩათ. იქვე ახლოს გვამიც იპოვეს. გულს ბრაზი შემოაწვათ, ცხენებს უმოწყალოდ ცემა დაუწყეს. „აქ იქნება სადმე რომელიმე ავაზაკი, ამის მკვლელი“ —სთქვა ერთმა და ბოგირის თავზე ცხენი შეაჩერა.

დედა-შვილი კი მის ქვევით სულგანაბული იყვნენ და სამაგიეროს გადახდას მოელოდენ.

— ამ არამზადებმა ეს სამი მსხვერპლი შეიწირეს, მაგრამ თუ დავიჭირე, სულ ხმლის წვერით ვაწამებ საჯაროდ! დასძებნე, ვასკა, აქვე იქნება, ასე უცბად ვერსად გაიქცეოდა.

ვასკა საჩქაროდ ჩამოხტა ცხენიდან და უფროსის ბრძანების ასრულებას შეუდგა.

— არსად არ არის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!—მობრუნდა ვასკა და მოახსენა უფროსს.

— აბა ამ ბოგირის ქვეშ ნახე!

— არა! იქ არავინ არის, იქ ყოფნა ყოვლად შეუძლებელია, საშინელი ტალახია.

— მაშ, საჭიროა მთელ სოფელს ალყა შემოვარტყათ და ისე დავიჭიროთ.

ცხენოსნებმა საჩქაროდ გასწიეს უფროსთან.

მიშა და კატო ამ ლაპარაკს სულგანაბული უსმენდენ. მისწყდა თუ არა ცხენების ფეხის ხმა, ნელნელა გამოჰყვეს თავი საფარიდან და სირბილით ტყისკენ გაეშურენ.

მებრძოლებს ბინა ტყეში ჰქონდათ; მიუახლოვდენ თუ არა ისინი ტყეს, გუშაგებს ფეხის ხმა მოესმათ და სასწრაფოდ შეჰყვირეს:

— ვინ ხართ?

— ვარსკვლავი, ვარსკვლავი—და მიირბინეს საზღვარზე.

—ო ჰ, მიშა, კატო, რა ამბავია, ბიძია?—შეეკითხა ნიკო.

— გეტყვი, ბიძია, გეტყვი, მხოლოდ ჯერ მითხარი, მამა სად არის?

— აი აგერ, შვილო, დიდი მუხის ქვეშ სხედან და საბრძოლველ გეგმას იმუშავებენ. წამოდი, მეც წამოვალ,—და მოხუცი ნიკო გაუძღვა მათ.

გიორგიმ დაინახა თავისი ცოლშვილი თუ არა, წამსვე მიხვდა, რომ რაღაც ამბავი იყო მომხდარი და მაშინვე გამოჰკითხა. კატომ და მიშამ სასწრაფოდ უამბეს ყოველივე.

სტამბის მუშა **შალვა ესებუა.**

# პიონერთა ექსკურსია-გასეირნება ზაფხულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა ექსკურსია-გასეირნებას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის. სუფთა ჰაერზე დიდი ხნით ყოფნა, ისიც ქალაქგარეთ, სხეულის მოძრაობა, სისხლის მოძრაობის გაძლიერება,—ყველაფერი ეს, ცხადია, კარგად იმოქმედებს მოზარდ ბავშთა ორგანიზმზე.

აღმზრდელობითი მნიშვნელობაც არა ნაკლები ღირსებისა აქვს ექსკურსია-გასეირნებას, ვინაიდან ეს ექსკურსია-გასეირნება ორგანიზაციულად და ტექნიკურად სათანადოდ უნდა იქნეს მოწყობილ-ჩატარებული. საჭიროა კოლექტივიზმის გრძნობის ბავშვებში გაღვივება, დისციპლინის სწორედ გაგება და სხვ.

ემოციონალური მხარეც უნდა იყოს გათვალისწინებული გასეირნება-ექსკურსიის მოწყობის წინ.

უმეტეს შემთხვევაში ექსკურსია-გასეირნება უნდა ხდებოდეს ბუნებასთან დაკავშირებით. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენს პიონერებს ზოგჯერ ბუნების სიმშვენიერეც კი შეუნიშნავი და შეუსწავლელი რჩებათ. ეს დაუდევრობის და უმოქმედობის ხარვეზი უნდა ამოივსოს, რასაკვირველია, არა წიგნით თუ წიგნში დაწერილი მოთხრობის შესწავლა-გაზეპირებით, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, არამედ უშუალო შეგრძნობის, შეთვისების და შესწავლის საშუალებით. აუცილებლად საჭიროა ზაფხულში პიონერთა გასეირნება-ექსკურსიისთვის ასეთი სახის მიცემა.

გასეირნება-ექსკურსიაში უტილიტარულ მომენტსაც საპატიო ადგილი უჭირავს. გარემოებისა და ადგილმდებარეობის გამოცვლა პიონერ-ექსკურსანტებში ისეთ თვისებებს ჰქმნის, როგორიცაა: გარემოში ორიენტირება, ბუნებასთან შეგუება, სიმკვირცხლე, სიბეჯითე და სხვა, რაც მეტად ძვირფასი და სასარგებლოა ბავშვების ფიზიკური და გონებრივი აღზრდისთვის.

**როგორია გასეირნება-ექსკურსიის მიზანდასახულება.**

ყოველი ექსკურსია-გასეირნება რამე განსაზღვრულ მიზანს ისახავს, და მთელი მისი ჩატარების განმავლობაში ეს მიზანი მკაფიოდ და განსაკუთრებული ინტერესით უნდა მჟღავნდებოდეს საექსკურსიო სექტორების ყველა ტექნიკურ და ორგანიზაციულ დეტალში.

**ეს მიზნებია:**

1. საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა, რაც მთავარია ბავშვებისათვის.

2. ფიზიკური აღზრდა, ბავშის სხეულის დრასტიკობა და საჯანსაღო მოძრაობა.

შესაძლებელია აგრეთვე მოვახდინოთ კიდევ სხვა რამე ცვლილება გასეირნება-ექსკურსიაში —ერთი ფორმის მეორე ფორმასთან შეფარდება-შეთანხმებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე ამან არ უნდა დაჩრდილოს გათვალისწინებული საბოლოო მიზანი.

ვთქვათ, ექსკურსიის მიზანი სასწავლო-საგანმანათლებლო,—მაშინ საგანმანათლებლო საქმეები უფრო მკაფიოდ და გაგებულად უნდა იქნეს შესწავლილი და გათვალისწინებული. ვთქვათ, მიზანია ფიზაღზრდა, სხეულის განვითარება,—მაშინ ფიზიკური აღზრდის საქმე შესაფერისად უნდა იქნას შესწავლილი და სამოქმედოდ ასახული...

საერთოდ ექსკურსიები შეიძლება იყოს რამდენიმე სახის: ერთდროული, რაც მთავრდება ერთი დღის განმავლობაში (შეიძლება ღამის თევითაც), მრავალდღიანი, ან რამდენიმე კვირით ქალაქგარეთ გასვლა.

**ექსკურსიათა ჩატარების ტექნიკა**

პიონერულ გასეირნება-ექსკურსიათა ჩატარების მეთოდიკა (ჩატარების მიზანი და გეგმა) შემდეგ პირობებში ისახება განხორციელების დროს.

მაგალითად, ადგილმდებარეობა აუცილებლად წინდაწინ უნდა იქნეს შერჩეული ექიმის თანდასწრებით. ექიმის მონაწილეობა ადგილის შერჩევის საქმეში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს (არაჭაობიანი ადგილი, სადაც ციებ-ცხელება არ იცის).

ამის გარდა, ექსკურსიის საქმეები დაწვრილებით უნდა იქნას შესწავლილი და წინასწარ დამუშავებული ადგილის გამოცვლის შესაძლებლობის მხრივაც. ზუსტად უნდა იქნას დამუშავებული ყოველივე, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა, მაგალითად მოგზაურობის დროს შესაჩერებელი ან კიდევ შესასვენებელი ადგილი; აგრეთვე საჭიროა ჰაერის ტემპერატურის გაზომვა, გზის ავკარგიანობის შესწავლა და მოგზაურობისათვის საჭირო სხვა დეტალები...

ქვეითი ექსკურსიებისათვის მოცემულია ასეთი მანძილი: ერთდღიური ნორმა—წასვლა და დაბრუნება: 7-8 წ. ბავშვებისათვის 4 კილომეტრი, 9-11 წ.— 6კილ. 12-14 წ. 10 კილომეტრი. 15-17 წ. 15 კილომ. სიარულის ნორმა აუცილებლად უნდა იქნას დაცული ხელმძღვანელების მიერ ბავშვების მიმართ, რომ მეტი სიარულით არ დაიღალონ პიონერები. აგრეთვე საჭიროა სიარულის სისწრაფის გათვალისწინება — ნავარაუდევია დაახლოვებით სამ-ოთხ კილომეტრამდე საათში. მაგრამ თუ ექსკურსიები ეწყობა ქალაქგარეთ, მაშინ ქალაქში გასავლელი მანძილი ქვეითად კი არ უნდა გავიაროთ, არამედ სხვადასხვა გადასაყვანი საშუალებით, როგორიცაა ტრამვაი (სადაც ეს მოსახერხებელია), ფურგონი, ავტო და სხვა. საერთოდ ზაფხული ცხელი და მომქანცავია, და პატარა მოსიარულეები მალე იღლებიან. მით უმეტეს ქალაქში ძალიან ცხელა და ჩვეულებრივად ჰაერიც მტვრიანია და სულშემხუთავია.

თუ წინასწარ გათვალისწინებულია საექსკურსიო ადგილი და ამავე დროს გათვალისწინებულია მიმოსვლის საშუალება და დრო, შემდეგ შესაძლებელი ხდება გადავიდეთ მუშაობის სხვა ნაწილის შესრულებაზე.

გასეირნება-ექსკურსიაში მონაწილე ჯგუფები არ უნდა ხასიათდებოდეს განსაკუთრებული სიჭრელით, რაც არაა სასურველი (ასაკისა და ფიზიკური განვითარების მხრივ).

არ უნდა მივივიწყოთ კვების საკითხი. საერთოდ სასურველია კვება მოეწყოს არა საუზმის სახით, როგორც დღემდე იყო, როცა მონაწილეს თვით მიაქვს საუზმე თავისი ჩანთით, არამედ უნდა იყოს საერთო მაგიდა. თუ ექსკურსია ან გასეირნება ექვს საათზე მეტს გასტანს, მაშინ უნდა მოეწყოს მონაწილეთათვის ცხელი საუზმე. ყოველივე ამას წინასწარ უნდა მომზადება და ამისათვის უნდა იზრუნონ ხელმძღვანელებმა. მომარაგებულ უნდა იქნეს ჭურჭელი და სადილისათვის საჭირო სხვა ნივთები.

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ საჭმლის მიღება უნდა ხდებოდეს ნორმალურ პირობებში, რაც ძეტ ნაყოფიერებას მოიტანს.

საერთოდ ტანმოვარჯიშეობისა და ტანისამოსის შესახებ შემდეგი უნდა აღვნიშნოთ.

გასულმა მაგალითებმა აი რა დაგვანახვა: ჩვენი ბავშვები, უმეტეს შემთხვევაში, გადიან თუ არა ქალაქგარეთ, იხდიან ფეხსაცმელს და შიშველი ფეხით განაგრძობენ სიარულს, რაც დაუშვებელია.

შესაძლებელია შიშველი ფეხით სიარულს უჩვევმა დაუზიანდესთ ფეხი და შემდეგ ფეხსაცმლითაც კი შეუძლებელი იქნება სიარული. ასეთი ფეხდაზიანებული ბავშვი, ცხადია, იძულებული იქნება ჩამორჩეს თავის ამხანაგებს და ან უკან დაბრუნდეს. საერთოდ შეიძლება ფეხის გახდა იმ შემთხვევაში, თუ მთელი შემადგენლობა ახდენს შესვენებას ან შეჩერებას და არის საამისო განკარგულება და მიუცილებელ შემთხვევაში ხდება, რის შემდეგ ისევ იცვამენ და განაგრძობენ წინსვლას...

ექსკურსიაში მონაწილე ბავშვების ფეხსაცმელი კარგად უნდა იყოს მომდგარი ფეხზე, არ უნდა იყოს არც პატარა და არც დიდი, რაც სიარულის დროს ხელის შემშლელი იქნება. აგრეთვე ფეხსაცმელი უნდა იყოს მსუბუქი, რაც მეტად კარგია გატარა მონაწილეთათვის ისეთ ფეხსაცმელს, როგორიცაა სანდლები, მაინცა დ

ფასი 25 კაპ.

მაინც ვერ ვურჩევთ ბავშვებს, ვინაიდან მგზავრობის დროს სილითა და ქვიშით ივსება და ხშირად იწვევს ფეხის დაზიანებას. უფრო კარგი იქნება ჩაიცვათ დახურული ტუფლები ან წაღები, რომლებიც ძლიან მსუბუქია და კარგია სატარებლად...

ტანისამოსიც აუცილებლად ამინდს და დროს უნდა შევუფარდოთ: თუ ექსკურსია შორს ხდება ან საჭიროა ღამის გათევა, მაშინ ტანისამოსი შერჩეული უნდა იყოს საამისოდ და უნდა გამოგვადგეს საბნის მაგივრად (მაგალითად, თბილი წამოსასხმელი). არის ასეთი შემთხვევა: როცა ბავში გადის ქალაქიდან, ტანს იხდის და პერანგის ამარა, მკერდგადაღეღილი განაგრძობს სვლას. ეს არანორმალური მოვლენაა და დაუშვებლად მიგვაჩნია, ვინაიდან უფრო ჩქარა გაცივდებიან, და ამავე დროს იღლებიან, თუმცა შეუმჩნევლად, და ესეც არ იყოს, როცა მზიანი ამინდი შეხვდება, მათ შეიძლება კანი დაუწვას მზემ და მაშინ გაუძნელდებათ იმ პატარა ბარგის წაღებაც კი, რომელიც თან აქვთ ხოლმე.

აგრეთვე უნდა იქნას გათვალისწინებული ტვირთის რაოდენობა: ბავშის ტვირთი არ უნდა გადამეტდეს ოთხ კილოგრამს.

**მგზავრობის საშუალებანი და ხერხები.**

გასავლელი მანძილი თუ მაინცა და მაინც დიდი არ არის და შეიძლება მისი ქვეითად გავლა (რამდენიმე კილომეტრი), მაშინ მნიშვნელობას კარგავს მგზავრობისათვის გათვალისწინებული ბევრი საშუალება. თუ გასავლელი არის არა ნაკლებ 6-7 კილომეტრისა, მაშინ შეიძლება აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტი: სამი კილომეტრის გავლის შემდეგ უნდა მოეწყოს დროებითი შესვენება 5—10 წამით; მოძრაობის სისწრაფე არ უნდა აღემატებოდეს 3—4 კილომეტრს საათში.

მოწინავეებს ევალება ადევნონ თვალ-ყური მონაწილე ბავშების დაღლილობას და საჭიროების დროს მოაწყონ შესვენება; ხელმძღვანელი მუდამ უნდა ზრუნავდეს ამისათვის, რომ ბავშები არ დაიღალონ და არ დავარდენ.

მგზავრობის დროს საჭიროა მწკრივად სვლა და ეს საჭიროა ქალაქში გავლის დროს, ხოლო როცა გავლენ ქალაქგარეთ, მაშინ შეიძლება უმწკრივოდაც სიარული, რომ მეტი თავისუფლება ჰქონდესთ სიარულის დროს ბავშებს. არ უნდა იქნან დაშვებული ყველაზე დიდები წინა რიგში, არამედ საშუალონი და ყველა დანარჩენები კასწორდემიან მათზე. საერთოდ, ზოგჯერ მსვლელობას აელს უშლის გლახა გზები (წუმპეები, აღმართდაღმართი ადგილები და სხვა). სიარული შეიძლება გაფანტულადაც. რაც უფრო საჭიროა დიდ სიცხეებში. ცხელ ამინდში მწკრივში მოსიარულე ბავშები აუცილებლად შეაწუხებენ ერთიმეორეს. შეუძლებელია ამ დროს მათი ერთიმეორესთან ახლოს ყოფნა.

ყველა მოსიარულე და გასეირნება-ექსკურსიის მონაწილე, აგრეთვე პირველ რიგში ხელმძღვანელები, უნდა ცდილობდეს შეარჩიოს გასავლელი გზა; უნდა ვერიდოთ მტვრიან და ლაფიან გზებს, შევარჩიოთ სასიარულოდ მდელო და მწვანით დაფარული დედამიწა, აგრეთვე კარგია ტყით სიარული, თუ ასეთი ადგილებით გავლა მოგვიხდება და შესაძლებელი იქნება...

თუ გზა მტვრიანი არ არის, მაშინ ექსკურსიაში მონაწილეთ შეუძლიათ მოაწყონ სიმღერა, რაც მოსიარულე ბავშებს დიდად ამხნევებს, ისე კი გასამხნევებლად ყველაზე კარგია ვიქონიოთ **სასულე ორკესტრი**, ეს აუცილებელია ზაფხულის განმავლობაში და ამის მოწყობაც შეიძლება, ეს არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

ხელმძღვანელებმა, როგორც ყოველთვის, უნდა მისცენ ბავშებს მითითებანი და შეასწავლონ, თუ როგორ უნდა სუნთქავდენ ბავშები მგზავრობის დროს: შეიძლება გასავლელი გზა მტვრიანია და ბული დგას, მაშინ სუნთქვა აუცილებლად უნდა ხდებოდეს ცხვირის ნესტოთი და არ დაიშვება ღია პირით სუნთქვა, ვინაიდან დიდ ზიანს მიაყენებს ჩაყლაპული მტვერი ჩვენს ნორჩ ფილტვებს. ლაპარაკი ასეთი მგზავრობის დროს, მით უმეტეს, თუ გზა მტვრიანია, უნდა შეწყდეს,—ამას უნდა ხელმძღვანელობდეს უფროსი.

შეიძლება გზა მიდის ტყით, მინდვრად, მდელოზე ან კიდევ სხვა ისეთ ალაგას, სადაც მტვერი არ არის და ჰაერიც სუფთაა,—მაშინ ხელმძღვანელი ვალდებულია მოსთხოვოს ბავშებს ღრმა სუნთქვა, როგორ ცხვირით, აგრეთვე გაღებული პირითაც, სიარულთან შეფარდებით...

ვთქვათ, გზაში შეგვხვდა ავტო, ურემი ან სხვა რამ, მაშინ ხელმძღვანელმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს ექსკურსანტი ბავშები, რომ პირი არ ექნესთ დაღებული და მტვერი არ შეისუნთქონ.

ყოველი ექსკურსიის მოწყობის წინადღით ხელმძღვანელი აფრთხილებს ბავშებს, რომ წასვლის წინ არ გაძღენ ძლიერ, აგრეთვე სულ ცალიერი სტომაქითაც არ უნდა გაუდგენ გზას პატარა მგზავრები, თორემ ორივე დასახელებული შემთხვევა შეუძლებელს გახდის ნორმალურ მსვლელობას. ყველაზე კარგია ექსკურსიაზე წასვლის წინ მონაწილე ბავშებმა დილის 6 საათზე (თუ გამგზავრება ხდება დილის რვა საათზე) შინ დალიონ მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაი, ან კიდევ რძე, ზედ დაატანონ მსუბუქი საუზმე (ნოყიერი)—ასეთი მსუბუქი სტომაქით ადვილია სიარული.

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

მთავლიტი № 1578 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 330. ტირ. 3500